რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 18 აგვისტო 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოიტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ს. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакция „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 125 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 125

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ
ერთობა-ზე.

გაზეთის ფასი როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში:

ერთი თვით—2 მან. 60 კაპ., ორი თვით—5 მან. 20 კაპ., სამი თვით—7 მან. 80 კაპ., ოთხი თვით—10 მან. 40 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველი რიცხვიდან. ადრესის შეცვლა პროვინციელ ხელის-მომწერთათვის 1 მანეთი.

გაზეთის ფასი ხელის მომწერმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199., редакція „Эртоба".

ტფილისში ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლება" ოლღას ქუჩა, № 6.

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ამ წლის მეორე ნახევრის ფული ძველ ფასობაზე აქვს გამოგზავნილი, უმორჩილესად ვსთხოვთ შესაფერად შეავსონ თავიანთი ხელის მოსაწერი ფული ზემოხსენებულ ფასისდა მიხედვით.

გულ დათუთქული დედა მისი კვირკელიას ასული, ნათლია კოტე ნაკაშიძე, [illegible] ვოსკრესენსკისა, ძმები გრიშა და ისაკი კვირკელია, ბებია ესმა მეჯირის ასული, დეიდა მარო ხატისასა, მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ 19 აგვისტოს, შაბათს 12 საათზე, სოფ. უხუთში, წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად გარდაცვალებულის სამხედრო სკოლის მეოთხე კლასის მოწაფის

ვანიჩკა ილარიონის ძე კვირკელიას

სულის მოსახსენებლათ. (2—2)

შაბათს, 19 აგვისტოს ხაშურის ეკლესიაში (სადგურის ქ. № 3) გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებულის

პეტრე გრიგორის ძე მონიავას

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ გამოუთქმელ მწუხარებით [illegible] მეუღლე ოლღა ოქროპირის ასული. შვილები გიორგი (ჟორა) ლუბა და თამარა მონიავები. დასაწყისი დილის 9 საათზე. (1—1)

ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა

ამით აცხადებს, რომ არსებული ქალთა ქვემო პროგიმნაზია ამა წლის პირველ სექტემბრიდან გადაკეთდა

მთავრობის სრულ-უფლებიანი ქალთა გიმნაზიათ.

თავისუფალი ადგილებია უფროს მოსამზადებელ I, II და III კლასებში.

ამასთანავე, ამავე წლიდან იხსნება

ვაჟების გიმნაზია

მეხუთე კლასი, რომელშიაც მიიღებიან უეგზამენოთ უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელში კურს დამთავრებულნი—და აგრეთვე შესაფერი გამოცდით. თხოვნები მიიღება ქალაქის თვითმართველობაში. 2—2

აუკციონი
ტფილისის ქალაქის ლომბარდი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 20 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ლომბარდის შენობაში საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ვადა გასული დაგირავებული საგნები, რომლებიც შესდგება ძვირფასი ლითონეულისა და ქვებისაგან, ლითონის საგნებისა, საკერავი მანქანებისა, ნოხებისა, ტყავეულისა, ტანსაცმლისა და საერთოთ ყოველგვარი მოძრავი საქონლისა.

სამანდატო კომისია მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციისა

სამანდატო კომისიის წევრთა მორიგეობა დანიშნულია ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღამოს 6—8 საათამდე სასახლეში, ყოფილ მუშათა კომისიის სადგომში. დანიშნულ დღეებში სამანდატო კომისიის წევრები იღებენ ახალ მანდატებს, აძლევენ ცნობებს, მოწმობებს საბჭოს წევრებს. (5—1)

განცხადება

დღეს, პარასკევს 18 აგვისტოს საღამოს 7 საათზე დანიშნულია

საზოგადო კრება

ამიერ კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ცენტრისა. (1—1)

დავკარგე

სამხედრო მინისტრის პასპორტი, საფრანგეთის მთავრობის მიერ მოცემული მოწმობა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ და სხვა ქაღალდები, მპოვნელს ვსთხოვთ გამოგზავნოს „ერთობის" რედაქციაში (გოლოვინის პრ. № 12). ყოფილი პოლიტიკური ემიგრანტი

აქსენტი დიმიტრის ძე გვათუა.

ექიმის თანაშემწე

ვანო საათაშვილი

ღებულობს ავათმყოფებს საღ. 6—8 საათ. ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება, (სისხლის ნაკლებობა, ნერვებით ავადობა, სიფილისიანთ და სხ.) ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა და სხვ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი). (12—1)

მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისთვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8 მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი გ. მ. მუხაძე

[illegible] გამგზავრების გამო [illegible] ავათმყოფების მიღება ენკენისთვის ბოლომდის.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე. მისამართი: კირილინის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ბურჟუაზიის სულისკვეთება.

მოსკოვის თათბირზე კონტრ-რევოლუციონურ ბურჟუაზიის პირ-ბადე ჩამოეხსნა და მან თავისი კლასობრივი სულისკვეთება გამოააშკარავა. ბურჟუაზია რევოლუციონურ დემოკრატიიდან—განსაკუთრებით მუშათა და გლეხთაგან—ეკონომიურს და პოლიტიკურ უფლების დათმობას მოითხოვს. სამაგიეროთ თითონ წინათ შეუბრალებლათ, გათამამებულად თავისი პოზიციის გამაგრებას ესწრაფვის და რევოლუციონურ კლასებს ყოველმხრივ თავიდან ესხმის.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მოსკოვის მრეწველ ვაჭართა ყრილობაზე, მსხვილი ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენელმა პ. პ. რიაბუშინსკიმ მთელი გაბატონებული კლასის დამახასიათებელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც იგი ვაჭარ-მრეწველთ „სამშობლოს დაცვისაკენ" მოუწოდებდა.

ბურჟუაზიის იდეოლოგი რიაბუშინსკი ხაზგასმულად მოითხოვს, რომ მუშათა კლასმა თავისი ეკონომიური და პოლიტიკური მოთხოვნები უნდა დასთმოს და მით სახელმწიფოს—საშუალება მისცეს შინაური და საგარეო საფრთხე თავიდან აიცილოს.

ამავე მოითხოვენ კადეტები მოსკოვის თათბირზე, ამავე მოითხოვს ყველა ის ჯგუფი, რომლებიც ვერ შეურიგებიან რევოლუციონური დემოკრატიის მიერ მოპოვებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ უფლებებს. მეტს გარეშე რუსეთის მსხვილი ვაჭარ-მრეწველთა კლასები ვერ შეურიგდებიან დაჩაგრულ კლასის იმ უფლებებს, რომელიც უკანასკნელმა ამ რევოლუციის ხანაში მოიპოვა და რომელიც გაბატონებულ კლასებს სახელმწიფოს დამღუპველ მოვლენად მიაჩნიათ.

მაგრამ თამამათ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ბურჟუაზიის ასეთი ეგოისტური [illegible] არ შეეფერება და იგი არსებულ ეკონომიურსა და პოლიტიკურ კრიზისის საქმეში მხოლოდ და მხოლოდ თითონ არის დამნაშავე და თითონ კი არაფერს სთმობს.

კადეტები და რიაბუშინსკები უპირველეს ყოვლისა ეკონომიურ კრიზისიდან იწყებენ და ამაში ბრალს მუშათა კლასს სდებენ, მათი შეხედულებით მუშათა კლასის ზედმეტ ეკონომიურმა მოთხოვნებმა, ხელფასის მომატებამ, რვა საათის სამუშაო დღის შემოღებამ მთელი წარმოება დაანგრია, წარმოების ნაყოფიერება არარად აქცია და მით არსებული კრიზისი უფრო მეტათ გააძლიერა.

დიახ—ბურჟუაზია თავის ცოდვებს მუშათა კლას თავზე ახვევს და ქვეყნის წინაშე გამოლაშქრებას ფიქრობს. მან თავისი კლასობრივი ინტერესების განმტკიცების გულისათვის რუსეთის დემოკრატია მსოფლიო ომში ჩაითრია და მთელი იმპერიის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება განსაცდელში ჩააგდო.

მსოფლიო ომი სამი წელიწადზე მეტი სწარმოებს და ამ ხნის განმავლობაში რუსეთის ბურჟუაზიული კლასების ქონებრივი სიძლიერე საზღაპროთ იზრდება; ამ ხნის განმავლობაში ბურჟუაზიულ კლასებმა ნაწარმოების გაძვირებით და უშველებელ სპეკულაციის მეოხებით მილიარდები შეიძინეს და მათი კაპიტალი წარმოუდგენლათ მრავლდება. ბურჟუაზიის ნივთიერი მდგომარეობის ზრდასთან ერთად კი იზრდება დაჩაგრულ კლასების ნივთიერი მდგომარეობის გაუარესება, პროლეტარიატის ექსპლოატაცია და უკანასკნელი გადაგვარების გზას ადგება.

აი ასეთ პირობებში მყოფმა ხალხმა საუკუნოებით შემუშავებული რეჟიმი დაამხო, მან თავისუფლება მოიპოვა და თავისი აუტანელი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება მოითხოვა, პროლეტარიატმა და გაღატაკებულმა გლეხ-კაცობამ ეკონომიურ ხარბიელზე უმნიშვნელო გაუმჯობესებანი მოიპოვა და თავის შრომის დამცველათ გამოვიდა.

მაგრამ ეს გაუმჯობესობა ბურჟუაზიული ქონების ზრდასთან სათქმელი არ არის. ის ცოტა ხელფასის მომატება, რომელიც კი მან რევოლუციის ხანაში მოიპოვა, ნაწარმოების ზედმეტი ფასების სახით კვლავ ბურჟუაზიის ხელში გადადის და არსებითად მისი საერთო მდგომარეობა უარესდება. დაჩაგრული კლასის ნივთიერი და კულტურული მდგომარეობა რაც დრო გადის მეტათ და ქვევით ეშვება და მისი არსებობა საეჭვო ხდება. ფიზიკური და კულტურული არსებობა საეჭვო ხდება იმ კლასის, რომლის შრომაზეც აშენებულია მთელი გაბატონებული კლასების, მთელი სახელმწიფოს არსებობა.

როცა ასეთ პირობებში მუშათა კლასი სახელმწიფოებრივი ძალის საშუალებით ეკონომიურ ცხოვრების მოწესრიგებას მოითხოვს, ნაციონალური შემოსავლის სამართლიან განაწილებას და მინიმუმ პროგრამის ცხოვრებაში გატარებას [illegible]—სწორედ ამ დროს ბურჟუაზია გამომძღარი და მუშათა კლასს სახელმწიფოს დამღუპველს უწოდებს.

მაგრამ დამღუპველია ის კლასი, რომელიც თავისი წარმოების წესით, ნაწარმოების უზომო გაძვირებით ხალხის ქონების ულევს ნაწილს თითონ ისაკუთრებს და ფართო დემოკრატიას კი არაფერს უტოვებს. აქ ხალხისა და სახელმწიფოს მოღალატეთ ბურჟუაზია გამოდის და პროლეტარიატი კი [illegible] მის მოღალატეობას.

რაც შეეხება დემოკრატიის პოლიტიკური უფლების ხელში ჩაგდებას, აქაც ბურჟუაზია ცამდის მტყუანია და იგი მთელი თავისი არსებით ვერ შეურიგებია ფართო მასის სამართლიან პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ თავისუფლებას.

პროლეტარიატი ამ ჟამად სოციალისტურ რევოლუციას არ ახდენს, ამისათვის მას ობიექტური პირობები ხელს არ უწყობენ და მაშასადამე პროლეტარიატის კლასობრივ დიქტატურაზე ლაპარაკიც მეტია.

მუშათა კლასმა და ფართო დემოკრატიამ ამ რევოლუციის ხანაში თავისი მინიმუმ-პროგრამის განხორციელება მოითხოვა და იგი ყოველ ღონეს ხმარობს მის ცხოვრებაში გატარებას. აი მისი ეკონომიური და პოლიტიკური ლოზუნგი, რომელმაც კონტრ-რევოლუციონურ ბურჟუაზიას თავზარი დასცა და მის წინააღმდეგ იბრძვის. მაგრამ ფართო დემოკრატია ამ ლოზუნგს არ დასთმობს, მისი კლასობრივი და ორგანიზაციული გაძლიერება სწორედ აქეთ არის მიმართული, და ყოველ ღონეს იხმარს იგი სისწორით განახორციელოს, და თუ ბურჟუაზია ამას ვერ ურიგდება და თავისი აბსოლუტური ბატონობის მიზნით იბრძვის, ნურას უკაცრავათ, თუ რევოლუციონური დემოკრატია ამ ნიადაგზე არაფერს დასთმობს და მის უფლების მტრობას კონტრ-რევოლუციონურ ბურჟუაზიის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გაუწევს. აქ შერიგება შეთანხმება შეუძლებელია, საქმეს საერთო ძალთა განწყობილება გადაწყვეტს.

სტოკჰოლმის კონფერენცია.

მთელი კაცობრიობის მუშათა კლასი ზავის საკითხს გარშემო ტრიალებს და იგი დღიურ წეს-რიგში აქვს დაყენებული. საერთაშორისო პროლეტარიატმა მეცნიერული სოციალიზმის მამამთავარ კარლ-მარქსის თქმულება: საერთაშორისო პროლეტარიატმა საგარეო დიპლომატიას, საგარეო პოლიტიკას თვალყური უნდა ადევნოს და ომის საკითხის გადაჭრაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს—დღეს სინამდვილეთ გადაიქცა და ინტერნაციონალურმა დემოკრატიამ ზავის ჩამოგდების საკითხი თავის მისიათ გამოაცხადა.

რუსეთის რევოლუციონური ორგანოების ხელმძღვანელთ კარგა ხანია საერთაშორისო დემოკრატიას ზავისაკენ მოუწოდეს და მათ უანექსიო, უკონტრიბუციო ზავი—ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე დამყარებული მოითხოვეს. გარდა ამისა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა თავს იდვეს სტოკჰოლმის საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა და ამ მიზნისათვის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში შესაფერი დელეგატებიც გაიგზავნენ, რომლებიც სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევისათვის ნიადაგი უნდა მოემზადებინათ. როგორც პარტიული გაზეთები გვამცნობენ, სოციალდემოკრატიულ პარტიის დელეგატებს აქსელროდს და პანინს თავიანთი მისია პირნათლად შეუსრულებიათ და მუშათა და ჯარისკაცთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ცნობით დასახელებულ კონფერენციაზე ყველა ქვეყნის სოციალისტები, როგორც მეომრებისანი, ისე ნეიტრალურნი მონაწილეობას მიიღებენ. ამის შემდეგ ზემოთ დასახელებულმა კომიტეტმა 6 აგვისტოს პლენარულ კრებაზე კვლავ დააყენა ზავის საკითხი და მთელ კაცობრიობის პროლეტარიატს მიულოცა სტოკჰოლმის საერთაშორისო სოციალისტური სამშვიდობო კონფერენციის მოწვევა.

იმპერიალისტური სახელმწიფოების გაბატონებული კლასების ყოველგვარი ზომები, რომელიც იქეთ იყო მიმართული, რომ დასახელებული კონფერენცია არ შემდგარიყო, უმიზნო გამოდგა და საერთაშორისო პროლეტარიატმა თავისი გაიტანა.

დღეს ეჭვი აღარავის აქვს, რომ სტოკჰოლმის კონფერენცია მოწვეულ იქნება და მთელი ქვეყნის საერთაშორისო დემოკრატია შეერთებულ ძალღონით შეეცდება უსაშინელეს ომის მოსპობას.

მართალია თვით სოციალისტურ პარტიებშიაც არსებობდა ერთგვარი მიმდინარეობა, ერთგვარი ჯგუფი, რომელიც სტოკჰოლმის კონფერენციაზე წასვლას პროლეტარიატის ღალატათ სთვლიდა და საერთაშორისო დემოკრატიის შეერთებულათ გამოსვლას ფრონტზე „დაძმობილებას" უპირისპირებდა და კონფერენციაზე უკეთეს საშუალებათ უკანასკნელ საშუალებას მიიჩნევდა, მაგრამ ამ ჯგუფმაც ი. კამენევის პირით აღიარა სტოკჰოლმის სამშვიდობო კონფერენციის დიდი მნიშვნელობა და სოციალისტებს სტოკჰოლმისაკენ მოუწოდებს.

უტოპია, რომელზედაც ზოგიერთა ჯგუფები ზავის ჩამოგდებას ამყარებდნენ, სინამდვილემ არ გაამართლა და საერთაშორისო დემოკრატია სოციალისტურ რევოლუციას აღარ უცდის და იგი სტოკჰოლმის კონფერენციაზე აპირებს თავის მოყრას, აქ მოიკრებს თავის ძალას და საერთო შემუშავებულ ზომების მეოხებით შეეცდება ზავის ჩამოგდებას. შესაძლებელია მომავალ სტოკჰოლმის სამშვიდობო კონფერენციაზე ზავის პირობების შესახებ სხვადასხვა აზრი გამოთქვან, სხვადასხვა მიმდინარეობა იჩინოს თავი, მაგრამ ეს აზრთა სხვადასხვაობა მათ საერთო მიზანს ვერ დაარღვევს. საერთაშორისო პროლეტარიატი თავის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით [illegible] და სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარებს ერთმანეთში გასაყოფი და სადაო არაფერი აქვთ. ყველანი ერთად მსოფლიო ომის მეოხებით ეკონომიურად და პოლიტიკურად სუსტდებიან და იმპერიალისტური პოლიტიკის [illegible] კი ნიადაგი უმაგრდებათ.

აი ასეთ პირობებში საერთაშორისო დემოკრატია თავის კლასობრივ ინტერესების გაძლიერებისათვის აუცილებლად უნდა შეკავშირდეს, ერთი ქვეყნის მუშათა კლასი მეორეს უნდა შეუერთდეს და ასე შეურყეველ ჰყონ თავიანთი კლასობრივი გაძლიერება. თუ როდისმე საჭირო ყოფილა ასეთი გაერთიანება,—სწორედ ახლაა, როცა იმპერიალისტური კლასების პოლიტიკამ იგი საფრთხეში ჩააყენა და მას გადაგვარებას უქადის. საერთაშორისო პროლეტარიატიც საერთო ობიექტური პირობების გამოძახილია და იგი სტოკჰოლმის კონფერენციაზე შეერთებულ ძალღონით გამოვა და იმპერიალისტების ომს ბოლოს მოუღებს და ინტერნაციონალურ კონგრესებზე მიღებულ ზავის პირობებს სისრულეში მოიყვანს.

გაყოფილი დაშნაკელები.

მეტის-მეტად აღშფოთებია ბაქოელი დაშნაკელები სოციალისტ-რევოლუციონერების რეზოლუციას, სადაც დაშნაკელებთან ბლოკი უარყოფილი იყო და დაშნაკცუთიუნის პარტიაც აღიარებული იყო არა სოციალისტურად.

დაშნაკცუთიუნის პარტიის დელეგატთა კრებას ბაქოში დასწრებია 570 დელეგატი და გამოუტანია გრძელი რეზოლუცია, სადაც ამტკიცებენ, რომ სომეხთა რევოლუციონური პარტია დაშნაკცუთიუნი და სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია ხანგრძლივი რეაქციის ხანაში ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობდნენ სხვადასხვა ნაციათა მშრომელ მასაში. ამ ორ პარტიას ერთნაირი მსოფლმხედველობა და ტაქტიკა აქვთ, რომ ამ პარტიების პროგრამებში ჯერ ჯერობით არავითარი ცვლილება არ მომხდარა. „დაშნაკცუთიუნის" პარტია სოციალისტური იყო და ასეთივე დარჩება მომავალშიაც და ამიტომ შეეკრენ მას ბლოკათ სოციალისტ-რევოლუციონერები დონის როსტოვში, ნახიჩევანში, ტფილისში, ევპატორიაში, სიმფეროპოლში, პიატიგორსკში, ტაშკენტში და სხ. ადგილებში.

ამას გარდა „დაშნაკცუთიუნის" აზრით იმის მაჩვენებელი ყოფილა ის ფაქტი, რომ ამ პარტიას 1907 წლიდან საერთაშორისო ინტერნაციონალში წარმომადგენელი ჰყოლია და სხვა.

კითხვა იბადება—რატომ ჰკრეს გულზე ხელი ამ „ჭეშმარიტ სოციალისტებს"—დაშნაკელებს—სოციალისტ-რევოლუციონერებმა?

თუ რეზოლუციას დავუჯერებთ,—ეს საქმე [illegible] სომეხ სოციალისტ-რევოლუციონერებს, რომლებიც „დაშნაკცუთიუნის" პარტიიდან გადასულან სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიაში, მათი მიზანი ყოფილა „დაშნაკცუთიუნის" დამარცხება და სომეხ სოციალისტ-რევოლუციონერების მშრომელთა თვალში ამაღლება.

სოციალისტ-რევოლუციონერების გადა-

საერთაშორისო ომი.

დასავლეთის ასპარეზზე, ბარანოვიჩის მიმართულებით მტერმა შეტევა დაიწყო. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

სამაგიეროთ რუმინიის ფრონტზე მტერი მედგრათ წინ მოიწევს და რუსეთისა და რუმინიის ჯარს უკან ახევიებს. გუშინდელ დეპეშათა ცნობით მტერმა ჩერნოვიცთან ფრონტი გაარღვია და 20—30 ვერსის მანძილით წინ წამოიწია. დღევანდელ ცნობით მოწინააღმდეგემ ფოკშანის და მუნტელუს მიმართულებით იერიშები მიიტანა და რუსის ერთმა დივიზიამ უბრძოლველათ უკან დაიხია. ამის შემდეგ მტერი მთელი დღის განმავლობაში წინ მოიწევს და ირეშტიდ-სურ-ვარნიცა-ჩიოხლიანიშტის ბრძოლის ხაზი გაარღვიეს. ფრონტი გაარღვიეს აგრეთვე ვარდნიდზის რაიონში და მედგრათ წინ მოიწევენ. რუსეთ რუმინიის ჯარი მეტათ მძიმე პირობებში ჩავარდა და მან სწრაფი უკანდახევით თუ თავს არ უშველა, დიდი კატასტროფა მოელის.

საფრანგეთის ფრონტზე ღირსშესანიშნავი ცვლილება არ მომხდარა.

იტალია-ავსტრიის ფრონტზე იტალიის ჯარი კვლავ წინ-სვლას განაგრძობს.

წყვეტილება დამყარებული ყოფილა ყალბ საბუთებზე, ამიტომ დაშნაკელები გმობენ ბაქოს სოც.-რევოლ. კომიტეტის გადაწყვეტილებას, რომელიც დამყარებული ყოფილა ცალმხრივ მოხსენებაზე და პროტესტს აცხადებენ იმ განცხადების წინააღმდეგ, რომელიც ეწინააღმდეგება სოციალისტ რევოლიუციონერთა მსოფლ მხედველობას და ინტერნაციონალის იდეიას...

აქ როგორც ხედავთ, შორს შესტოპეს დაშნაკელებმა: სოციალისტ რევოლიუციონერები უკიჟინებენ საკუთარ მსოფლ-მხედველობას, ინტერნაციონალურ იდეას ულტიმატუმით...

დაშნაკელები „ჭკუას“ ასწავლიან სოციალისტ-რევოლიუციონერებს!

სოციალისტ რევოლიუციონერებმა მოიმკეს ის, რაც დასთესეს—1907 წელს. მათი „რეკომენდაციით“ დაშნაკელები ინტერნაციონალში იქნენ მიღებულნი, შემდეგ დარწმუნდნენ მათ ცრუ-სოციალისტობაში, მაგრამ ასე ადვილი საქმეა დაშნაკელების თავიდან მოშორება?!..

შეცდომის გასწორებას დიდი დრო და მუშაობა დასჭირდება!

მოსკოვის თათბირი.

(პ. დ. ს.)

გაგრძელება.

კარკუშინი და კონდრატიევი გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის და პონამარიოვი სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის სახელით საბჭოთა დეკლარაციას უერთდებიან მიუხედავათ იმისა, რომ მიწის და თავისუფლების ლოზუნგის განხორციელება შეუძლებელია დამფუძნებელ კრებაში. საჭიროა მინინი, რომელიც დაიხსნის თავისუფალ რუსეთს და არა რომანოვების დინასტია. აკადემიური ჯგუფის სახელით პროფესორი გრიმი აცხადებს, რომ საჭიროა ძლიერი მთავრობა, მთავრობის შემადგენლობაში მეცნიერების წარმომადგენელთა მიწვევა და სხ. დამფუძნებელი კავშირის წარმომადგენელი ზოლოტარევი აუცილებლათ თვლის ხალხში განათლების გავრცელებას. ქალთა თანასწორობის ლიგის სახელით შიშკინა მოითხოვს შემოღებულ იქნას ქალთათვის სავალდებულო შრომა და დედათა სახელით აცხადებს, რომ ქალებს ყველაზე უფრო სწყურიათ ზავი. შემდეგ ლაპარაკობს მესამე სახელმწიფო დუმის ყოფილი თავმჯდომარე გუჩკოვი. ის დაწვრილებით ჩამოთვლის თუ რა მოხდა რევოლიუციონური თვეების განმავლობაში, აღნიშნავს იმ მოვლენებს, რომლებზედაც ხალხი იმედებს ამყარებდა და რომლებზედაც შემდეგ არ გამართლდა. ომის შესახებ ის ამბობს: ჩვენ ვერ ვიბრძვით კარგად, ზოგჯერ სრულიადაც არ ვიბრძვით. მოსალოდნელია უდიდესი სახალხო უბედურება. ფინანსიური კრახი უკვე მოხდა. თვითმმართველობათა ორგანოები გაკოტრდნენ. საზოგადოებრივ ატმოსფერაში შიშიანობა და უკმაყოფილება გროვდება. მთავრობა ქაოსის ცენტრში სდგას. მომენტის მიზანია მთავრობის ჯანსაღად გახდა. ჩვენში მთავრობის აჩრდილია. მთავრობას სურს ხალხის სასარგებლოთ მუშაობა. ხელმძღვანელმა წრეებმა თავიანთ თავზე არ მიიღეს დამოუკიდებელი ხელმძღვანელობა გეზწით რევოლიუციისათვის. ისინი მხოლოდ შეუერთდნენ რევოლიუციას და კულტურული ელემენტებიც გამორიცხეს მოძრაობიდან. დემოკრატიის დანარჩენი ნაწილი დესპოტიურ აპეკუნობას უწევდა ოფიციალურ მთავრობას. მთავრობა უპასუხისმგებლოთა ხელშია, პასუხისმგებლობა კი იმათ კისერზეა, ვინც მთავრობაში არ არის. ამაშია მთავრობის სისუსტე. გუჩკოვს ლაპარაკის ვადა გაუთავდა. კერენსკი წინადადებას აძლევს მას შესწყვიტოს სიტყვა. მარჯვნიდან იძახიან: რისთვის მიეცით ნება ჩხეიძეს მეტი ლაპარაკისა. კარაულოვი ლოჟიდან იძახის: ჩხეიძე ლაპარაკობდა არა როგორც დეპუტატი. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა დეპუტატმა შულგინმა. ის აღნიშნავს რომ ცდას რევოლიუციის დასახსნელად და კონტრ რევოლიუციასთან საბრძოლველად თვალსაჩინო მიზეზი არ აქვს, იმიტომ, რომ არც პირველის საშიში არც მეორე. სულიერი განწყობილება ყველას შეეცვალა. ამის მიზეზი მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომაა: სიკვდილით დასჯასთან დამოკიდებულება, იმის მისწრაფება თითქოს შეიძლებოდეს ამორჩეული კომიტეტების შეწყობით მართვა-გამგეობა (აქ დეპეშაში აზრი დამახინჯებულია) შემდეგ შულგინი ლაპარაკობს კიევულ უკრაინელებზე, რომელთაც მალოროსები ეჯავრებათ. ასეთი განცხადება შულგინისა ხმაურობას იწვევს, გაიძახიან: ვინ მოგანდოთ თქვენ ამის ლაპარაკი. შულგინი ამბობს, რომ ის ლაპარაკობს 25 ათასი (მალოროსის?) სახელით, რომლებთანაც მას მიწერ-მოწერა აქვს და რომლებსაც სურთ მოსკოვთან მჭიდრო კავშირის დაჭერა. დეპუტატი მაკლაკოვი მომხრეა გაერთიანებისა და პარტიული ბრძოლის წინააღმდეგი. თუ მთავრობის განცხადება ომის საპატიო ზავით დამთავრების შესახებ ნამდვილი პროგრამაა, შეიძლება ამ ნიადაგზე გაერთიანება. მაკლაკოვი აღნიშნავს სხვადასხვა ჯგუფების შეცდომებს, და ბოლოს ამბობს, რომ მას არ აქვს იმედი, რომ მთავრობა საქმეს ბოლომდი მიიყვანს. შიში საფუძვლიანია, როცა მთავრობის შემადგენლობაში ისეთი კაცებია, რომლების გუშინ დამარცხების მომხრენი იყვნენ (ხმაურობაა. მარცხნიდან იძახიან—კმარა, მარჯვნიდან ტაშს უკრავენ და გაიძახიან: ძირს ჩერნოვი). უკეთუ არ იქნება აღდგენილი ჯარში დისციპლინა მისი აზრით არც ომის წარმოება შეიძლება და სასაცილოა ლაპარაკი საპატიო ზავის შესახებ. ზოგიერთებს ეგონათ, რომ ციმერვალდი მიგვიყვანდა ზავამდე უომრად. ჩვენ წინ ასე სდგას საკითხი. ან ჯარი პოლიტიკას უნდა აწარმოებდეს, ან მეთაურებს უჯერებდეს. სხვა გზა არ არის. რუსეთს დაღუპავს ბევრი მთავრობის ყოლა. მთავრობა ისეთი პარტიების რეზოლიუციებს უნდა დაეყრდნოს რომლებიც ფრონტზე თავდაცვის მომხრენი არიან. ვრცელ სიტყვას ამბობს წერეთელი. ეკამათება მაკლაკოვს და აღნიშნავს დემოკრატიული ორგანიზაციების როლს ხალხის შეკავშირების საქმეში და მომხრეა ასეთი ორგანიზაციების შენახვისა, რომლებზედაც შეუძლია დაეყრდნოს მთავრობამ. როძიანკო აღნიშნავს რევოლიუციის მსვლელობის ისტორიას. ეხება მთავრობის დეკლარაციას. ის მთავრობას უწუნებს სისუსტეს და გაუბედაობას. მილიუკოვი უპასუხებს წერეთელს და ჩამოთვლის მთელ რიგ შეცდომებისას, რომლებიც რევოლიუციონური დემოკრატიის ორგანოებმა დაუშვეს და კადეტების პარტიის მოქმედების სისწორეს აღნიშნავს. მისი აზრით შეცდარია ის, თითქოს რევოლიუცია ორგანიზაციულათ შეკავშირებული მემარცხენე პარტიების საქმე იყოს. რევოლიუციის გამარჯვების უმთავრესი წყარო სახელმწიფო დუმა იყო. შემდეგ ის მიუთითებს, რომ მთავრობა დამოკიდებულია საბჭოებისა თუ სხვა ორგანოებისაგან და კადეტების სახელით ნდობას უცხადებს კერენსკის და დროებით მთავრობას. მილიუკოვს უპასუხებს წერეთელი, რომელსაც სხვამ დაუთმო სიტყვა. ნახევარი საათით თათბირი შესწყვიტეს. თათბირის განახლებისას ლაპარაკობენ ვექილთა, ინტელიგენციის, ფოსტა ტელეგრაფის და სხ. დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ღამის 1 საათზე სხდომა დაიხურა.

თათბირის მესამე დღეს, ლაპარაკობენ ერობათა წარმომადგენელნი. ლაპარაკობს მოსკოვის საერობო გამგეობის თავმჯდომარე გრუზინოვი. ის აღნიშნავს ერობათა როლს. მთელი რიგი კულტურულ მუშაკებისა განდევნილ იქნენ ერობებიდან იმიტომ, რომ ისინი ბურჟუებათ მონათლეს. დღითი დღე ერობა ფინანსიურ კრახს უახლოვდება. ის უერთდება მეოთხე დუმის მიერ შედგენილ დეკლარაციას, სადაც რუსეთის გარეშე მტრისაგან დახსნის ზომებია დასახული. სალაზკინი 26 დემოკრატიული ერობის სახელით ლაპარაკობს, რომელთაგან 15 ჩხეიძის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციას უერთდება. სალაზკინი უერთდება წერეთლის განცხადებას, რათა შესაძლებელი იქნეს დემოკრატიის გაერთიანება ყველა ცოცხალ ძალებთან. რკინის გზის კავშირთა წარმომადგენელი ორეზოვი. ის დაწვრილებით ლაპარაკობს თუ როგორი წეს-რიგი სუფევს ამ ჟამად რკინის გზაზე და ჩამოთვლის საშვალებებს, რითაც შესაძლებელი იქნება წეს-რიგის დამყარება. შემდეგ ლაპარაკობს კერძო რკინის გზათა წარმომადგენელი და ინჟინერთა კავშირის წარმომადგენელი. ლაპარაკობენ ჩხენკელი და მაჭავარიანი ქართველი ხალხის სახელით, ნაზარიანცი—სომხების და ზაბოვი სომხური სოც.-დემ. ჰინჩაკის სახელით. გრუზენბურგი—ებრაელების და აბრამოვიჩი ებრაული სოციალისტური პარტიების სახელით. ტოპჩიბაშევი—მუსულმანების, ზელიტი—ლატიშების და ესტონცების, სმულსკი—პოლონელების, იანუშკევიჩი—ლიტოვლების, კრასკოვსკი—ბელორუსების და სხვა ერთა წარმომადგენელი. ყველანი აღნიშნავენ თანხმობით მუშაობას საერთო სამშობლოს საკეთილდღეოთ და სურვილს გამოსთქვამენ რათა შესაფერი კონკრეტიული აქტით დადასტუროს მთავრობამ რევოლიუციით მონაპოვები ერთა თვითგამორკვევის უფლებანი. ლაპარაკობს ყოფილი მთავარსარდალი ალექსეევი ავათმყოფი ჯარის განკურნებაზე. მისი აზრით საჭიროა რადიკალური ზომების მიღება, დროებითი მთავრობამ არაფრის წინაშე არ უნდა დაიხიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ახლანდელზე საწუხარო შედეგის წინაშე გავჩერდებით. ამის შემდეგ ლაპარაკობს ფლოტის წარმომადგენელი. ის აღნიშნავს ფლოტში ყოველგვარ დაქვეითებას, მაგრამ უმატებს, ეს საერთო არევ დარევის ბრალია, რომელიც ეხლა ავათმყოფებს რუსეთს და არის შემთხვევაში მეზღვაურების ბრალით.

აფიცერთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელი რუსსკი აცხადებს, რომ აფიცრობასა და საზოგადოების დემოკრატიულ ნაწილ შორის აზრთა სხვადასხვაობა არ არის. სამწუხაროთ არის ერთგვარი შეხედულება—ამბობს ის—რაც მე შეცდომით მიმაჩნია, თითქოს რევოლიუციის ხსნა სამშობლოს ხსნას მოასწავებდეს. ასეთ შემცდარ აზრს ადარ უნდა ჰქონდეს ადგილი და უნდა გავაცნოთ ყველას, რომ წინააღმდეგ: სამშობლოს ხსნა—არის რევოლიუციის ხსნა! სამშობლოს ხსნა დამყარებულია სამ საგანზე! პირველი—გარეშე მტრის დამარცხება, მეორე—ეკონომიურ და სასურსათო არევ-დარევასთან ბრძოლა; მესამე—დამფუძნებელი კრება, რომელიც წესიერათ უნდა მოვაწყოთ და მოვემზადოთ, ძალები ხალხს გადავცეთ. დასასრულ რუსსკი წინადადებას იძლევა, გაასწორონ შეცდომები და სიხარულით ეგებება წერეთლის გულახდილ განცხადებას ომთან დამოკიდებულების და შრომის ბეგრის შესახებ (ტაში).

მოსკოვის აფიცერთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელი პროფესორი თავ. დრუცკოი—სოკოლინსკი უერთდება პეტროგრადის საბჭოს აზრს და აცხადებს, რომ ჯარი განსაკუთრებულ პოლიტიკას არ უნდა აწარმოებდეს. ჯარის პოლიტიკა არის—მისი ბელადის და სახალხო სამხედრო მინისტრის ნება (ტაში). წინააღმდეგ შემთხვევაში—სამხედრო დიქტატურა, დაღუპავს თავისუფლებას, სამშობლოს და ჯარს. საჭიროა სასწრაფოთ განსაზღვრულ იქნას ჯარის ორგანიზაციათა კომპეტენცია და დამყარებულ იქნას სამხედრო დისციპლინა და გადაჭრით პროტესტი გამოცხადდეს ყველა ბრალდებების წინააღმდეგ. ცილის წამება—ბოროტ-მოქმედებაა, რომელიც შურსა და მტრობას სთესს აფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის. ჯარის სიმბოლო სარწმუნოებას უნდა იყოს კერენსკის სიტყვები: „არ არის თავისუფლება უსამშობლოთ, არ არის სამშობლო უთავისუფლებოთ“.

ფრონტების კომიტეტების წარმომადგენელი კუჩინი ამოწმებს, რომ უკმაყოფილებამ ჯარში დიდი ხანია ნიადაგი მოიმზადა, აფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის უთანხმოება რევოლიუციამდე იყო. უკმაყოფილებამ ჯარისკაცებში უმწვერვალეს წერტილამდე მიაღწია რევოლიუციის წინ რეპრესიულ ზომების მიღების გამო და როცა რევოლიუცია მოხდა, ჯარმაც მონაწილეობა მიიღო. ეს ყველამ ალიარა აქ, ვინ ამტკიცებდა, რომ ჯარში პოლიტიკას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თვით როძიანკო შეხვდა ჯარს, როგორც რევოლიუციის მამოძრავებელ ძალას. კომიტეტები თავის თავათ, სტიქიურათ წარმოიშვნენ. ვინ იცის რა მოხდებოდა ჯარში, ეს ორგანიზაციები რომ არ დაარსებულიყო. კომიტეტებმა განათლების შუქი შეაშუქეს ჯარში და პირველმა აღიმაღლეს ხმა აფიცერთა და ჯარისკაცთა შორის ნორმალურ დამოკიდებულების დასაცავათ. დასასრულ ის აცხადებს, რომ მარტო რეპრესიებით არ შეიძლება ჯარის გაძლიერება, საჭიროა ეს რეპრესიები შეთანხმებული იყოს ჯარის ორგანიზაციების მოქმედებასთან. ის სასტიკი წინააღმდეგია ჯარის ორგანიზაციების დანგრევის და დაბეჯითებით მოითხოვს სავსებით განხორციელებულ იქნას მთავრობის რევოლიუციური პროგრამა მიწების და სხვა საკითხების შესახებ.

ჯარის ფრონტების კომიტეტების წარმომადგენელი პოლკოვნიკი კუროპატკინიც აღნიშნავს, რომ ჯარის ორგანიზაციების წინააღმდეგ გალაშქრება უაზროა და მავნებელია... აფიცრებმა, რომლებმაც მაგალითი მოგვცეს როგორ უნდა მოვკვდეთ, უნდა გვაჩვენონ, როგორ უნდა ვიცოცხლოთ და თავის მოქმედებით და ჯარისკაცებზე ზრუნვით უნდა აღწიონ თავისი ავტორიტეტი.

სრულიად რუსეთის ფლოტის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ის სავსებით ეხარის უჭერს ჩხეიძის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციას.

დაუსრულებელ ტაშის ცემას იწვევს თავმჯდომარეს განცხადება, რომ სიტყვა ეძლევა ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას. გამოჩნდა თუ არა ტრიბუნაზე ბრეშკო-ბრეშკოვსკაია, დიდი ოვაცია გაუმართეს. „გამარჯობა, მოქალაქენო, გულწრფელ შეხვედრისა და პატივცემისთვის—დაიწყო ბრეშკო-ბრეშკოვსკაიამ. მოვისმინე რა ყველას სიტყვები, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს დიდებული კრება მთელი რუსეთის ანკეტაა. უნდა დაბეჯითებით ვსთქვა, რომ მთელმა ჩვენმა ხალხმა სანაქებოთ დაიჭირა ეგზამენი. მიუხედავათ იმისა, რომ ყურს მაკლია, მე ვიცი, რომ აქაურ სიტყვებში წინააღმდეგობა არ არის. ყველა ერთ სულოვნათ აღიარებს, რომ არის სამშობლო, რომ მხოლოდ მარტო ერთი სამშობლოა ღირსი დაცვისა. თათბირის გათავების შემდეგ დაუყონებლივ უნდა განხორციელებულ იქნას ყველაფერი რაც აქ გადაწყდება. ჯარის უბედურება ფრონტზე კი არ არის, აქ ზურგს უკან, სადაც ყველაფერს ძირი ეთხრება, საჭიროა დაუყონებლივ მოეწყოს ფრონტი, და საჭიროა მოვამზადოთ ჯარი დიდი საქმისთვის. ყველამ ჯარისთვის უნდა ვიზრუნოთ. ქალებო გახსოვდეთ, რომ თქვენი შრომაც საჭიროა ჩვენი რესპუბლიკის დასახსნელათ. დაეხმარეთ რუსეთს თქვენც ცენზოვიკებო. საჭიროა ხალხის განათლება. შინაური მტრები არიან—კაპიტალისტები მსხვილი და წვრილი ვაჭრები. მთავრობამ მათ სასტიკი ყურადღება მიაქციოს. ვთხოვ მთავრობას გაფანტოს კონტრ-რევოლიუციონერები. ცენზოვიკებმა ხელში უნდა აიღონ ხალხის განათლების საქმე. (ტაშის ცემა).

დიდ ოვაციას იწვევს ძველ რევოლიუციონერ კრაპოტკინის გამოსვლა... კრაპოტკინი მოუწოდებს, ყოველივე კავშირი გაწყვიტონ ციმერვალდისტებთან და შეერთებული ძალით დაიცვენ რევოლიუცია და სამშობლო. ნემცები მართალი არიან, როცა ამბობენ, რომ გაიმარჯვებს ის, ვინც ომის უკანასკნელ თვეებში მეტ ენერგიას და ძალას გამოიჩენს. საშინელებაა ჩვენთვის ნემცების გამარჯვების შედეგები. პოლონეთი, ლიტვა, კურლიანდია, რიგა, რეველი და კოვნა გადავა ნემცების ხელში. შესაძლებელია ადესა და კიევიც მათ დარჩეთ. ნემცები ჩვენ დაგვადებენ უმეტესებულ კონტრიბუციას და ჩვენ გაგლატაკდებით, როგორც 1871 წელს ფრანგები, იმაზე საძაგელი არაფერია, როგორც დამარცხებულ ქვეყნის სულიერი მდგომარეობა, რომელიც მე გამოვსცადე საფრანგეთში, როცა ის დამცირებული თავს იხრიდა მეფე ალექსანდრე და ნიკოლოზის წინაშე. ორატორი მიმართავს ჯარისკაცებს და მოუწოდებს მათ მაგალითი აიღონ იტალიელებიდან, რომლებიც აუტანელ პირობებში იბრძვიან, მაგრამ მაინც გამარჯვებული გამოდიან. იტალიელები ცდილობენ რუმინიის განთავისუფლებას, აიღეთ მაგალითი მათგან. (ყვირილი! „გაუმარჯოს იტალიელებს“). კრაპოტკინი მიმართავს ჯარს და მოჰყავს ისტორიული მაგალითები ინგლისის და საფრანგეთის ცხოვრებიდან და მოუწოდებს, ისწავლონ ახალ ცხოვრების შეგნება. დასასრულ კრაპოტკინი მოუწოდებს, არ გადაწყვიტონ წინდაწინ არაფერი დამფუძნებელ კრებამდე და ეხარის უჭერს რესპუბლიკას, არ უნდა დავნაწილდეთ—ამბობს ის—ჩვენ გვაქვს ერთი სამშობლო და ყველა მას უნდა შევეწიროთ. (ოვაცია, მქუხარე ტაში).

პლეხანოვი თავის სიტყვის დასაწყისში აღნიშნავს რევოლიუციონერ დემოკრატიის როლს, რომ მან თავის ძლიერ მკლავებით გაუკაფა გზა რევოლიუციას და ამიტომ დიდ უსამართლობას სჩადიან იგინი, ვისაც უნდა რევოლიუციის ასპარეზიდან განდევნოს ის. მიმართავს რა ბურჟუაზიას, პლეხანოვი აცხადებს: დადგა დრო, როცა თქვენი და მთელი რუსეთის ინტერესებისთვის თქვენ უნდა შეუერთდეთ პროლეტარიატს. თუ ოდესმე რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობა დამყარებული იყო მეფის მთავრობაზე, დღეს მისი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ვაჭარ-მრეწველები მიზნათ დაისახავენ სოციალურ რეფორმებს. აღნიშნავს რა საწარმოვო ძალთა ძლიერ განვითარების საჭიროებას, პლეხანოვი ამტკიცებს, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ფართე პოლიტიკური რეფორმა ფეხზე დააყენებს მუშათა კლასს. ვაჭარ-მრეწველთა კლასმა უნდა გაიგოს, რომ შეუძლებელია სწორი ეკონომიური ცხოვრება და გარეშე მტერთან ბრძოლა, უკეთუ უკიდურეს რევოლიუციონურ დემოკრატიასთან შეთანხმება არ მოხდა. შეთანხმების გზა გახსნილი იქნება, უკეთუ მრეწველები აღიარებენ ფართე სოციალურ მუშაობის პროგრამას, რადგან 8 ივლისის დეკლარაცია არის რევოლიუციონურ დემოკრატიის მისწრაფება—მოიპოვონ მუშათა კლასისთვის საჭირო რეფორმები. პლეხანოვი მიმართავს მარცხნით და მოაგონებს, რომ ლენინის მოწოდებაზე: მუშათა კლასმა დაუყონებლივ ჩაიგდოს ხელში ძალა-უფლება, პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს უმრავლესობამ უპასუხა, რომ როცა ქვეყანა კაპიტალისტურ რევოლიუციას განიცდის, მუშების მიერ მთავრობის ხელში ჩაგდება უადგილოა. ამისდამიხედვით უნდა განსაზღვროს მუშათა კლასმა თავის დამოკიდებულება ვაჭარ-მრეწველთა კლასთან.

დიდი ოვაცია გაუმართეს ჩხენკელს, რომელიც გამოვიდა კავკასიის მთავრობის სახელით. „კავკასიის ერები—ამბობს ორატორი—შეთანხმებული არიან არა თუ ურთიერთ შორის, არამედ რუსის და სხვა ხალხთან, რომლებიც ამ დიდ ქვეყანაში სცხოვრობენ. მე „ინოროდცებში“ ვტრიალებდი და ვიტყვი, რომ აქ „ინოროდცები“ აღარ არიან, არამედ არის ერთი რუსის ხალხი. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ერთი სამშობლო გვაქვს“. ჩხენკელი აცხადებს: „დღემდე კავკასიის ერებს ერთი სეპარატიული ნაბიჯიც არ გადაუდგამთ. ვიტყვი კიდევ მეტს, ამ ერებმა, ცენზიან ელემენტებთან ერთად ეხარი დაუჭირეს დემოკრატიის დეკლარაციას (ტაშის ცემა და ოვაცია).

დიდი ტაშის ცემით შეხვდნენ მუსულმანთა წარმომადგენელს ტოპჩიბაშევს, რომელმაც განაცხადა, რომ მუსულმანები მზათ არიან მხარი დაუჭირონ მთავრობას და წავიდნენ რევოლიუციონურ დემოკრატიის გზით. ომის საკითხში ის მხარს უჭერს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს.

ქართველების სახელით ილაპარაკა მაჭავარიანმა, რომელმაც მოიგონა საქართველოს განვლილი მწარე დღეები.

15 აგვისტოს უკანასკნელ სხდომაზე სოფლის მეურნეობის წარმომადგენელმა კაპატონსკიმ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც გამოთქვეყნა სურვილი, რომ დამფუძნებელ კრებამდე არ მოხდეს მიწის ძირითადი რეფორმა, რომ დაიჩქარონ აგრარულ რეფორმის პროგრამის შემუშავება. სასტიკ პროტესტს აცხადებენ მიწების ძალად ხელში ჩაგდების წინააღმდეგ. დასასრულ დეკლარაცია მოუწოდებს, მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას. კრაპოტკინი მხარს უჭერს კაპატონსკის დეკლარაციას.

ლაპარაკობენ ბანკების და ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლები. ოზეროვი აღნიშნავს, რომ ეხლა დრო არ არის სოციალური ექსპერიმენტების. საჭიროა წარმოების ფეხზე დაყენება.

რიაბუშინსკი აცხადებს, რომ ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლები სიხარულით შეხვდნენ საზიზღარი მეფის მთავრობის დამხობას. ვაჭარ-მრეწველნი სიხარულით შეხვდება აგრეთვე რესპუბლიკანურ წეს წყობილებას და ეხლაც სურს, რომ დროებითი მთავრობა სარგებლობდეს სრული ძალა-უფლებით, რიაბუშინსკი წინააღმდეგია პურის მონოპოლიის და პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, თითქოს ვაჭარ-მრეწველნი მხოლოდ მარტო თავის ვიწრო კლასობრივ ინტერესებს იცავდენ და არ უნდათ მთავრობას დაეხმარონ.

(გაგრძელება იქნება).

დეპეშები.

(პეტ. ტელ. სააგ. 16—17 აგვისტო).

სუხომლინოვის საქმე.

პეტროგრადი. ჩვენება ჩამოართვეს სასამართლომ გენერალ მიხელსონს, რომელიც 1906—1911 წლებში გერმანიაში იყო აგენტათ, სამხედრო მინისტრის ყოფილ თანაშემწე დიდ მთავარ სერგეი მიხეილის ძეს და ყოფილ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს ტიმაშევს, რომლებიც ამტკიცებენ სუხომლინოვის დანაშაულობას.

ფინლიანდიის ამბები.

ჰელსინგფორსი. რადგან სეიმის კრება იყო დანიშნული დილის რვა საათზე, სეიმის შენობა ჯარმა და დეპუტატებმა დაიჭირეს. ხალხს არ უშვებენ. ქალაქში სიწყნარეა. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მეზღვაურები გემებიდან არსად წავიდნენ.

დეპუტატთა საბჭოს საღამოს კრებაზე დაადგინეს გარნიზონი არ ჩაერიოს სეიმის მუშაობაში და ეს მარტო ჯარებს მიანდოს. დაადგინეს მოსარიგებლათ, შესდგეს საგანგებო კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილება ორივე მხარისათვის სავალდებულო იქნება. კრების მარჯვენა ფრთა დაბეჯითებით მოითხოვდა დროებით მთავრობის ბრძანების სავსებით სისრულეში მოყვანას.

16 აგვისტოს დეპუტატთა საბჭოს საგანგებო კრებაზე სეიმის მუშაობის განახლების საკითხის შესახებ ის აზრი გამოსთქვეს, რომ სეიმის დათხოვნა არ შეეფერება დემოკრატიის პრინციპებს, კრება აღიარებს, რომ სამხედრო ძალით სეიმის გარეკას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

დიდი ცეცხლი.

ყაზანი. დილით ქალაქის განაპირა ადგილებში ცეცხლი გაჩნდა და სისწრაფით მოედვა. ხალხი ქალაქიდან გაიქცა. ბევრი დაზიანდა, მათ შორის გენერალი ლუკნიცკი, კატასტროფამ საშიში ხასიათი მიიღო. ყაზანში და მის ახლო-მახლო სამხედრო წესები გამოაცხადეს.

ბელგიელი სოციალისტები სტოკჰოლმის კონფერენციის წინააღმდეგ.

ლონდონი. ბელგიელმა სოციალისტებმა გერმანიის მთავრობის მიერ ნებადართულ მიტინგზე დაადგინეს არ მიიღონ მონაწილეობა სტოკჰოლმის კონფერენციაზე.

სტოკჰოლმის კონფერენცია.

სტოკჰოლმი. სოციალისტური კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა რუსეთის დეპუტატთა საბჭოს დელეგატებისაგან ცნობა მიიღეს, რომ რუსეთის მთავრობა არას დროს არ სცვლიდა თავის დამოკიდებულებას სტოკჰოლმის კონფერენციაში რუსეთის პროლეტარიატის მონაწილეობის შესახებ, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანს ზავის საქმეს. და რომ დეპუტატთა საბჭოს თავის დღეში განზრახვა არ ჰქონია ამ კონფერენციისათვის მთავრობის ხასიათი მიეცა.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 16 აგვისტო. ბროდის მიმართულებით სროლა გაცხოველდა.

რუმინიის ფრონტზე, ოკნის მიმართულებით გროზეშტისას და სოვეჯას ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერმა სასტიკი იერიშები მოიტანა. ფოკშანის მიმართულებით, მუნტელუს რაიონში მტერმა იერიშები მოიტანა, აქ ჩვენმა ერთმა დივიზიამ მტერს წინააღმდეგობა არ გაუწია და უთავბოლოთ უკან დაიხია. მთელი დღის განმავლობაში მტერი წინ მოიწევდა და მან გადმოლახა ირეშტიდ სურ-ვარნიცა-ფიტიონეშტის ჩიოლიანეშტის ბრძოლის ხაზი. 16 აგვისტოს მტერი განაგრძობდა წინ სვლას და მან ვარნიცის რაიონში ჩვენი ფრონტი გაარღვია, დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

კავკასიის ფრონტზე, მუშის ჩრდილოეთით

მტრის ერთ-ერთ როტას უკან დავახევინეთ.

პარიზი. 15 აგვისტო. კალიფორნიის მაღლობებზე, შევრეში მტრის იერიშები შევაჩერეთ. მიერეს მიასთან მტრის რაზმები გავფანტეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ.

რომი. 15 აგვისტო. ვაინონიცას მთა-გორიან ადგილებში იერიშების მიტანას განვაგრძობთ. აქ ჩვენ მტრის პოზიციები დავიკავეთ.

ახალი ამბები

ნიხრი. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული ნიხრი არ აღმოჩნდა სწორი. ქალაქის სასურსათო კომიტეტის დადგენილების თანახმად, ყველა ხარისხის გირვანქა პურის ფასი ნახევარი კაპეიკით მეტია, ე. ი. ფურნეში გამომცხვარი პური უნდა გაიყიდოს თეთრი—13½ კ. გირ., შავი—12 კ. გირვ.; თორნეში გამომცხვარი თეთრი პური უნდა გაიყიდოს 14 კ. გირ., შავი 12 ნახ. კ. გირვანქა.

◆ **ზედ-მეტი მუშაობა რკინის გზის კანტორაში.** ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა განიხილა საკითხი რკინის გზის სამმართველოებსა და კანტორებში ზედმეტ და საღამოობით მუშაობის შესახებ და დაადგინა: დროებით, სანამ დროებითი მთავრობა გამოიმუშავებდეს და გამოსცემდეს რკინის გზებზე ზედმეტი შრომის ფასის საერთო ნორმას, იხელმძღვანელონ შემდეგი დებულებებით: 1) კანტორებში მომუშავეთათვის ნორმალური სამუშაო დღე უდრის 6 საათს; 2) ზედმეტი მუშაობისათვის პირველ ორ საათს მიეცემათ ქირა ერთ ნახევარჯერ მეტი, ხოლო შემდეგ მუშაობისათვის—ორ მაგი ხელფასი; 3) ნორმალური საათის შრომის ფასის გამოანგარიშების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ძირითადი ჯამაგირი ომიანობით გამოწვეულ ყოველგვარი დამატებით და ერთ თვეში უნდა ჩაითვალოს 25 სამუშაო დღე; 4) უქმე დღეებში მუშაობა ზედმეტ მუშაობათ უნდა ჩაითვალოს.

◆ **მუშების რეზოლუცია.** 10 აგვისტოს ალექსანდრეს მოედანზე მოხდა კრება, რომელსაც დაესწრო 200 მდე კაცი, მთავარი სახელოსნო მუშები, კონდუქტორები და სხ. ხსენებული მოედანი ამჟამათ იჯარით იცემა, ამის გამო ბევრს ძალით ჩაუგდია ხელში რამდენიმე ნაჭერი მიწა მოედნზე და სახლებიც აუშენებიათ. კრებამ იქონია ამ მოედნის შესახებ მსჯელობა და გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც სასტიკათ გმობს მოედნის ძალით ხელში ჩაგდებას, ზიზღს უცხადებს იმათ, ვინც ნც სჩადის სამარცხვინო საქციელს, ვინაიდან ისინი თავის მოქმედებით ჩირქს სცხებენ თფილისის პროლეტარიატსა. ამ კრებაზედვე არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც მიენდო მოედნის დაცვა.

◆ **ფართლეულობის გატანის აკრძალვა.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა აკრძალა როგორც თფილისიდან, ისე თფილისის გუბერნიიდან ყოველგვარ ფართლეულობისა და ტანისამოსის გატანა.

◆ **კავკასიის მ., ჯ. და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის აღმასრულებელ კომიტეტთან** დაარსდა ცალკე განყოფილება, რომლის მიზანია გააბას კავშირი კავკასიის დანარჩენ ადგილების მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ორგანიზაციებთან. განყოფილებას განზრახული აქვს ანკეტის საშუალებით შეკრიბოს ცნობა, თუ რამდენი საბჭო დაარსებულა დღემდის კავკასიაში, როგორია მიმდინარე მუშაობა დემოკრატიული ორგანიზაციების და სხ. განყოფილებაში შედის 6 კაცი, ორ-ორი თითო კურიიდან. თავმჯდომარეთ აირჩიეს გუდკოვი, თავმჯდომარის ამხანაგათ ვ. ქლენტი, მდივნათ შილოვი. განყოფილება მოთავსებულია სასახლის ყვითელ დარბაზში.

◆ **ახალი მატარებლები.** 16 აგვისტოდან თფილისსა და ბაქოს შუა დადის ორი ახალი მატარებელი № 7 და № 8. მატარებელი № 8 თფილისიდან გადის დღის 3 ს. და 28 წ. და მიდის ბაქოში დილის 8 ს. 28 წ. მატ- № 7 ბაქოდან გამოდის საღამოს 11 ს. 3 წ. და მოდის თფილისში საღამოს 5 ს. 21 წ.

◆ **ქურდობა.** 13 აგვისტოს ღამით ვოკზალის ქუჩაზე შპინდლერის ქუდების მაღაზიიდან წაიღეს 5 ათასი მანეთის საქონელი. მეზობელ ოთახიდან გაიტანეს 5 ათასი მანეთი ფულათ.

◆ **მ. და ჯ. დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტი და სოციალისტური კონფერენცია.** 16 აგვისტოს სხდომაზე მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მიესალმა ინგლისის მუშათა კლასის გამოსვლას სტოკჰოლმის კონფერენციის სასარგებლოდ და კონფერენციის შესახებ რეზოლუციის პროექტის შემუშავება მიენდო ცალკე კომისიას.

◆ **სურსათი.** 11 აგვისტოს თფილისში შემოიტანეს 12 ვაგონი ფქვილი და 2 ვაგონი შაქარი.

◆ **საფეიქრო სახელოსნო.** 20 აგვისტოს დაიწყება მისაღები გამოცდები ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების საფეიქრო სახელოსნოში. (ხარფუხი, სურფ-სარქისის ქუჩა № 48.)

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 ს., მე-2 სამომრიგებლო განყოფილების შენობაში (მუხრანის ქ.) შესდგება მე-4 სამილიციო უბნის რ. ს. დ. მ. პ. წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 7 საათზე მოხდება მე-3 რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. ბევრი გადაუდებელი კითხვების გასარჩევი და ვთხოვთ ამხ. კოლექტივის წევრებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

— დღეს, საღამოს 7 ს. ვაკის მე-6 გიმნაზიის შენობაში (უფლისწულის ქ) დანიშნულია არაჩვეულებრივი კრება რ. ს.-დ. მ. პ. მე-4 რაიონულ კოლექტივის წევრებისა.

— რესტორანებში, კლუბებში, სასტუმროებში, საჩაიე ყავახანებში და სხ. მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა აუწყებს კავშირის წევრებს, რომ შაბათს, 19 აგვისტოს სახალხო სახლში, დილის 9 საათზე შესდგება საზოგადო კრება.

პროვინციის ქრონიკა.

მატანი. 5 აგვისტოს დილის 9 საათზე გაიხსნა მიტინგი. მიტინგზე მოხსენება გააკეთა თფილისელმა ამხანაგმა მიმდინარე მომენტის და დამფუძნებელ კრების შესახებ. მიტინგმა დაადგინა, არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა; გადასწყვიტეს მღვდელს მისცენ დრამა. აირჩიეს სადგილ მამულო კომისია 7 კაცისაგან შემდგარი, რომელიც შეეცდება წესიერების დაცვას. გადააყენეს დროებით კომისარი და კომიტეტის თავმჯდომარე და მოახდინეს დამატებითი არჩევნები. აირჩიეს სასურსათო კომიტეტის წევრი და საარჩევნო კომისია.

— ექვს აგვისტოს ღამით დეზერტირებსა და მილიციონერთა შორის შეტაკება მოხდა მილიციონერებს დეზერტირებმა სროლა აუტეხეს და მილიციონერებმაც უპასუხეს. არავინ დაშავებულა, დეზერტირები მიიმალნენ. ზომები მიღებულია.

— შესდგა განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც თვალყურს ადევნებს ბნელი ძალების მოქმედებას.

მიქელ-გაბრიელი. 26 ივნისს სოფელ თხინვალში გაიმართა დებატები ს. დ. და ს. რ. შორის დებატებს დაესწრო ორი საზოგადოება: ხვარბეთი და მიქელ გაბრიელი. ს. რ. მხრივ გამოვიდნენ მოქალაქე კორქაშვილი, დ. ქინქლაძე, შ. აქოშვა; ს. დ. მხრივ ალ. ქურულიანი, ა. ანწუკრეველი და ვ. შილაკაძე. ხალხი წესიერებას იცავდა ახალ შემოსტუმრებულ ს. რ. მიმართ, დებატები სასურველათ ჩატარდა.

ჰანქისის ხეობა. 7 აგვისტოს ჰანქისის ხეობაში გაიმართა სახალხო მიტინგი, დაესწრენ ქისტები, ოსები, თუშები და ფშაველნი. თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, დამფუძნებელ კრებაზე, დემოკ. რესპუბლიკაზე ილაპარაკა თფილისელმა ამხანაგმა, აგრეთვე ხეობაში ჩამოვარდნილ ერთა შორის შუღლზე. ამ ჟამათ შედარებით სიწყნარეა. მოხდა ხელახალი არჩევნები. ხეობის კომისრათ არჩეულ იქნა ლ. ნასიბაშვილი, (თუში) მდივნათ ლ. ნაცვლიშვილი. სარაიონო კომიტეტში გ. მარგოშვილი (ქისტი), კ. ჩიკურაშვილი, (ფშაველი) და თ. კაბისაშვილი (ოსი). სასურსათო კომიტეტის წევრათ მ. მარგოშვილი. აირჩიეს სადგილ-მამულო და საარჩევნო კომისია. კრებას აუარებელი ხალხი დაესწრო. საღამოს გაიმართა სადგ-მამულო კომისიის და ხეობის აღმ. კომიტეტის კრება მიმდინარე საკითხების გასარჩევათ.

რუსეთის ამბები.

მუსულმანთა მოთხოვნანი. სრულიად რუსეთის მუსულმანთა ყრილობის დელეგატებმა მინისტრთა თავმჯდომარის მოადგილე ნეკრასოვი ინახულეს. მუსულმანების სახელით დელეგატები მოითხოვენ: თფილისში მუდმივათ მუსულმანთა დელეგაციის ყოლას; ახალ დაპყრობილი ადგილების (ოსმალეთში) კომისარების—გენ. ავერიანოვის და ექიმ ზავარიანის ადგილიდან დათხოვას. მათ ნაცვლად სამი კომისარის დანიშვნას—რუსის, მუსულმანის და სომხის. სომეხი არ უნდა ეკუთვნოდეს „დაშნაკცუტიუნის“ პარტიას, არამედ—უნდა იყოს სოციალისტ-რევოლიუციონერი ან სოციალ-დემოკრატი; სახელმწიფომ დახმარება უნდა აღმოუჩინოს ოსმალეთის ახალ დაპყრობილი ადგილების მცხოვრებთ; ლტოლვილთათვის გადადებული დახმარება ისე უნდა ეძლეოდეს მუსულმანებს, როგორც ეს სხვა ერებს ეძლევა; ქურთებში დაინიშნოს კომისარათ მუსულმანი; დაპყრობილ ადგილებში ნება დაერთოს მუსულმანებს მოაწყონ სამოქალაქო დაწესებულებანი; უნდა შედგენილ იქნას კავკასიის ფრონტზე და სამხედრო ოლქში ცალკე მუსულმანთა ჯარისკაცების კომიტეტები; შედგენილ იქნას შერეული კომისია კავკასიაში მომხდარი ამბების გამოსაძიებლად.

— **საავათმყოფო კასები.** შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონ პროექტი დრ. მთავრობამ დაამტკიცა. კანონი ვრცელდება ისეთ დაწესებულებებზე, სადაც ხუთ კაცზე ნაკლები არ მუშაობს. კასები არსდება ცალკ-ცალკე წარმოებაში და საერთოც რამდენიმე წარმოების მუშათათვის. კასის მონაწილეთა რიცხვი ხუთასზე ნაკლები არ უნდა იყოს. კასაში მონაწილეობას ღებულობს ყველა, ვინც წარმოებაში დაქირავებულია. კასის მონაწილეთ ის ხდება დღიდან სამუშაოზე დაშვებისა და სხ. ერთი სიტყვით, კანონპროექტი დამტკიცებულია იმ ცვლილებებით, რომელნიც ამას წინეთ ჩვენს გაზეთში ჩამოთვლილი იყო.

— **მუშათა ცენტრალური კოოპერატივი.** მუშათა სასურსათო საქმეს მოსკოვის რაიონში ამ ჟამად განაგებს მუშებისავე მიერ არჩეული კომიტეტი. მუშებს აზრი დაებადათ ცენტრალურ კოოპერატივის მოწყობისა. 23 ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს რათა თითოეულმა მუშამ ამ საქმისთვის ათი შაური გადაიხადოს, როგორც ერთდროული გადასახადი. ამას გარდა, მექარხნე ვალდებულია თითოეულ თავის მუშაზე ამავე მიზნით გადაიხადოს თითო თუმანი. როგორც გამოანგარიშებულია, ამ სახით შესდგება 1 მილიონი 10 ათასი მანეთი. ჯერ-ჯერობით ჩაწერილია 90 ათასი მუშა. საქმის დასაწყებლათ საჭიროა 2 მილიონ ნახევარი მანეთი. მაშინ შესაძლებელი იქნება 23 ალაგას კოოპერატივის გახსნა. ჯერ-ჯერობით გახსნიან სამ კოოპერატივს, შეიძენენ სამ საბარგო ავტომობილს. მიწათ-მოქმედების სამინისტროსაგან 10 ათასი ფუთი საჭმელი ზეთი მიიღეს. სხვადასხვა სურსათი მიიღეს აგრეთვე სასურსათო კომიტეტისაგან, დასაკლავი საქონლის შესასყიდათ აგენტები ჰყავთ გაგზავნილი ურალში და ციმბირში. სურსათს გაუნაწილებენ საქარხნო კომიტეტებს, ესენი კი, მუშებს დაურიგებენ.

— **რკინის გზის მუშათა მდგომარეობა.** ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის პროკოპოვიჩის თავმჯდომარეობით შესდგა ეკონომიური საბჭოს სხდომა. მუშათა საკითხის შესახებ ილაპარაკა რკინის გზათა მინისტრის ამხანაგმა უსტრუგოვმა. მისი აზრით მუშათა საკითხის გადაჭრას რკინის გზაზე დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს საკითხი უნდა მოწესრიგდეს საერთო სახელმწიფოებრივი საზომით, სხვა დარგებთან შეთანხმებით და არა კერძოთ. თუ ეს ასე არ მოხდა, მოსალოდნელია რკინის გზის მოძრაობის სრულიად შეჩერება და სხვ. იმ დროს, როცა რკინის გზაზე მუშები ღებულობენ 2 მ.—2 50 კ., კერძო დაწესებულებებში მუშა 17 მანეთამდე ღებულობს დღიურათ. რკინის გზებზე მუშები შრომის ბეგარას ეწევიან, ვინაიდან დაანებებს თუ არა რკინის გზას მუშა თავს, მას იმ წამსვე ჯარში წაიყვანენ.

— **დუბროვინის საქმე.** საგანგებო საგამომძიებლო კომისიას საბუთები აღმოუჩნდა, რომლითაც მტკიცდება დუბროვინის მონაწილეობა სახელმწიფო დუმის დეპუტატთა იოლოსის და კარავაევის მოკვლის საქმეში.

მასწავლებელთა საყურადღებოდ.

მიმდინარე თვის 11 და 12, თანახმად კავშირის მთავარი გამგეობის დადგენილებისა, ჩვენ ვინახულეთ კავკასიაში სწავლა-აღზრდის საქმის ხელმძღვანელი კომისარიატის წევრნი: დუბროვსკი, ლ. ნათაძე და დ. უზნაძე, რომელთაც გარდა ოფიციალური წერილობითი მოხსენებისა, სიტყვიერათაც განუმარტეთ სახალხო მასწავლებელთა აუტანელი ქონებრივი დაქვეითება და ერთხელ კიდევ დაჟინებით მოვითხოვეთ დააჩქარონ მათი მდგომარეობის გაუმჯობესობა ჯამაგირის გადიდებით, პროცენტებისა და დღიურების მიცემით და ერთდროული დახმარებითაც. სახალხო მასწავლებლის თვიური ძირითადი ჯამაგირათ თანახმად მასწავლებელთა ყრილობის დადგენილებისა 120 მანეთი მოვითხოვეთ, მხოლოდ უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელთათვის შესაფერი გადიდება. მოვითხოვეთ აგრეთვე პედაგოგიური კურსების მოწყობისათვის 132000 მანეთი, რომლის ხარჯთ-აღრიცხვა, ორი თვის წინათ წარუდგინეთ ხსენებულ კომისარიატს შუამდგომლობასთან ერთად. ყოველივე ეს, ხსენებულმა პირებმა გულმოდგინეთ მოგვისმინეს. ჩვენი მოთხოვნა საფუძვლიანათ და სამართლიანათ სცნეს, აღგვითქვეს სამინისტროს წინაშე დაჩქარებით, ერთხელ კიდევ შუამდგომლობის აღძვრა ტელეგრამის საშუალებით, თუმცა სახელმწიფოს არა ნორმალური მდგომარეობის მიზეზით, ეჭვი გამოსთქვეს შუამდგომლობის სისრულეში მოყვანის შესახებ. ჩვენ სხვათა შორის მივუთითეთ კომისარიატს ქუთაისის დირექციის სამშენებლო ფონდზე (75000 მან.) და მოვითხოვეთ, რომ ამ თანხიდან ეხლავე გვასესხონ ნაწილი მაინც ხსენებული კურსებისათვის. ამაზე უარი გვითხრა თვით დუბროვსკიმ, რადგან არ იციან საითგან ან რითის უნდა გადიხადონ ეს ვალი.

ყველასათვის აშკარაა, რომ შუამდგომლობის დაკმაყოფილება, სახელმწიფოს დღევანდელი კრიზისის დროს, თვით უფლება მოსალოდნელისაც კი ძალიან ძნელი შექმნა ამიტომ კავშირის მთავარი გამგეობა ფილიალთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ თუ რომელიმე ფილიალი შეიძლებს საკუთარის ძალღონით კურსების მოწყობას, იმ შემთხვევაში მთავარი გამგეობა დაეხმარება მას ლექტორებით.

კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ან. ქავთარაძისა.

გამგეობის წევრი ან. შუბლაძე.

დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის

დროებით მთავრობის დადგენილება.

თავი IV.

სამომრჩევლო სიების შესახებ.

25. დამფუძნებელ კრების წევრთა ასარჩევათ ამომრჩეველთა სიები შედგება. თვითეულ საარჩევნო უბანი თითო სიას შეადგენს.

თვითეული ამომრჩეველი მხოლოდ ერთი უბნის სიაში უნდა იყოს შეტანილი.

26. სამომრჩევლო სიების შედგენა ევალება ქალაქისა და სოფლის სამმართველოებს და აგრეთვე სოფლის საზოგადოებათა საერთო სამმართველოებს კუთვნილებისამებრ.

27. იმ დღეს, როდესაც ხსენებულ სამმართველოებმა სამომრჩევლო სიების შედგენა უნდა დაიწყონ, დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარი საოლქო კომისია დანიშნავს და მთელ ოლქში გამოაცხადებს ისე, რომ ყველა მცხოვრებმა იცოდეს.

28. სამომრჩევლო სიებში შეიტანებიან ის პირნი, ვისაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს და სიების შედგენის დროს ამა თუ იმ უბანში იცხოვრებენ, თუნდაც იგი უბნიდან დროებით წასული იყოს.

29. ის პირნი, რომელნიც საარჩევნო უბანში სამომრჩევლო სიების დაწყებიდან ერთი დღის შემდეგ მოვლენ, სიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიტანებიან, თუ ამას ისინი საქალაქო და სასოფლო სამმართველოს ან და სოფლის საზოგადოების საერთო სამმართველოს განუცხადებენ. განცხადების შეტანა სიების გამოცხადებამდის და მათ გამოცხადებიდან კიდევ 5 დღის განმავლობაში შეიძლება, ხსენებულ განცხადებასთან ერთად უნდა წარდგენილ იქმნას აგრეთვე იმის განცხადება, რომ ის არც იმ უბნის ამომრჩეველთა სიაშია შეტანილი, სადაც წინად სცხოვრობდა. ამ განცხადებას სამმართველო დანიშნულებისამებრ გაგზავნის სადაც ჯერარს.

30. საარჩევნო სიაში ინიშნება: გვარი ან და გამოცვლილი სახელი თვითეულ ამომრჩევლისა, სახელი, მამის სახელი, წლოვანობა, ბინა და ხელობა. სია თვითეულ უბანში გვარების ანბანზე უნდა შეადგინონ.

31. სიები შედგენისამებრ და ყოველ შემთხვევაში არჩევნებამდის ორმოცი დღით წინ მაინც, საყოველთაოთ უნდა გამოცხადდეს ისე, რომ ყველას შეეძლოს მისი ნახვა.

32. ადგილობრივ ადმინისტრატიულ მთავრობის წარმომადგენელს პროტესტის განცხადება და ხოლო არჩევნებში მონაწილეობის უფლება მქონე პირებს სიის უსწორობაზე ან და მის უსრულობაზე საჩივრის შეტანა შეუძლიათ მხოლოდ სიების განცხადებიდან 10 დღის განმავლობაში.

ხსენებული საჩივრები თუ პროტესტები უნდა შეიტანონ ქალაქისა და სოფლის ანდა სოფლის საზოგადოების საერთო სამმართველოში.

33 ქალაქისა და სოფლის ანდა სოფლის საზოგადოების საერთო სამმართველოება აკმაყოფილებს მომჩივნებს იმისდა მიხედვით თუ რამდენად შესაწყნარებელი იქნება მათი საჩივარი თუ პროტესტი შეუწყნარებელი იქმნება: საჩივრები მომჩივართ სამომრჩევლო სიაში შეტანის შესახებ იმ შემთხვევაში თუ ხსენებულ პროტესტ-საჩივრებს მე 32 მუხლში ნაჩვენებ ვადის გასვლამდე ხუთი დღით მაინც ადრე შეიტანენ და საჩივრები მომჩივართა შესახებ სიებში შემცდარ ცნობებზე, ასეთი საჩივრების შეწყნარებას სამმართველონი მომჩივრებს შეატყობინებენ.

34. სხვა საჩივრებს თუ პროტესტებს ქალაქის და სოფლის ანდა სოფლის საზოგადოების საერთო სამმართველო სამ დღის განმავლობაში გადასცემს დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარ სამაზრო კომისიას. საჩივარსა თუ თხოვნასთან ერთათ სამმართველო მის შესახებ ახსნა-განმარტებასაც წარადგენს.

35. თუ პროტესტში ანუ საჩივარში სადავოთ თვლიან რომელიმე ნაჩვენებ პირთა საარჩევნო უფლებას, იმ შემთხვევაში მათ, ვისზედაც ჩივიან, საქალაქო, სასოფლო ან სოფლის საზოგადოების სამმართველოები აცნობებენ, თუ რა პროტესტი ან საჩივარია მათზე შემოტანილი.

36. დამატებითი სამომრჩევლო სია მე-32, მუხლში ნაჩვენებ ვადის გასვლამდე სამი დღით მაინც წინ უნდა გამოცხადდეს.

ამ დამატებით სამომრჩევლო სიაში აღინიშნებიან მხოლოდ: 1) ის პირნი, რომელთა განცხადება მათ თავის დროზე სიაში შეუტანლობის გამო შეწყნარებული იქნება (მუხლი 29) და 2) ის პირნი, რომელთა საჩივრებიც სამმართველომ დააკმაყოფილა. დამატებითი სამომრჩევლო სია მე-30 მუხლის დაურღვევლად უნდა შესდგეს,

37. დამატებითი სიის შესახებ პროტესტი თუ საჩივარი მე 32-ე მუხლში აღნიშნულ ვადაზე მე 32, მე-34 და მე-35 მუხლების წესით უნდა იქმნას შეტანილი.

38. პროტესტები თუ საჩივრები დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ შემდგარ საქალაქო თუ სამაზრო კომისიების მიერ 5 დღემდე უნდა განხილებოდნენ კარ ღია სხდომაზე, იმ წესით, რა წესიც შემუშავებულია ადმინისტრატიულ სასამართლოს შესახებ დებულებაში (კანონთა კრებული 1917 წ. 632 მუხლი) და რომელიც ადმინისტრატიულ მოსამართლეთა მიერ საქმის განხილვას შეეხება. ამასთან საქმის განხილვაზე დასწრება შეუძლიანთ: მომჩივანს თუ პროტესტის შემტანს, სამმართველოს წარმომადგენელს, განსაჩივრებულ სიის შემდგენს და აგრეთვე იმ პირთ ვის საარჩევნო უფლებაც სადავო გახდარა.

39. დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარ სამაზრო და საქალაქო კომისიების გარდაწყვეტილებაზე ადმინისტრატიულ განყოფილების საოლქო სასამართლოში 10 დღის განმავლობაში კვლავ შეიძლება საჩივრისა თუ პროტესტის შეტანა, ამასთან ამ გვარი პროტესტებისა თუ საჩივრების მიცემა არჩევნებს არ შეაჩერებს.

40. ადმინისტრატიულ განყოფილების საოლქო სასამართლო აღნიშნულ პროტესტ-საჩივრებს 5 დღის ვადაზე განიხილავს.

41. დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ შემდგარ სამაზრო და საქალაქო კომისიების და აგრეთვე ადმინისტრატიულ განყოფილების საოლქო სასამართლოს დადგენილებათა მიხედვით ბოლო დღეზე შესწორებული სამომრჩევლო სია არჩევნებამდის 10 დღით მაინც ადრე ხელ ახლად უნდა გამოცხადდეს ისე, რომ ყველას ადვილად შეეძლოს მისი ნახვა.

კანდიდატების სიები.

42. დამფუძნებელ კრების არჩევნები მოხდება ხმის მიცემით ერთ ერთ წარდგენილ კანდიდატების სიაზე.

43. კანდიდატების სიები უნდა განეცხადოს დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ საოლქო კომისიას არჩევნებამდის ოცდაათი დღით მაინც წინ. სიებს ამომრჩეველთა ჯგუფები წარადგენენ.

44. თვითეულ საკანდიდატო სიას უნდა ეწეროს საკუთარი ხელი 100 კაცზე არა ნაკლებისაგან, რომელთაც ხმა აქვთ იმ ოლქის არჩევნებში, სადაც არჩევნები ხდება. სიაში უნდა აღნიშნული იყოს გვარი, სახელი, მამის სახელი და ბინა თვითეულ წამოყენებულ კანდიდატისა. სიასთან ერთად უნდა წარდგენილ იქნას განცხადება ყველა კანდიდატებისა, რომ ისინი თანახმანი არიან ამ ოლქში ამა და ამ სიით კენჭი იყარონ. სიაზე შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე მის წარმდგენელ ორგანიზაციის სახელი.

45. საკანდიდატო სიის წარმდგენელ ჯგუფმა უნდა უჩვენოს თავისი წარმომადგენელი, რომელიც კავშირს იქონიებს დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის შემდგარ საგანგებო კომისიასთან და რომელიც კომისიაშივე მიიღებს მონაწილეობას. თუ წარმომადგენელი არ არის ნაჩვენები, მაშინ განცხადების პირველათ ხელის მომწერი ჩაითვლება წარმომადგენლად. დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ საოლქო კომისიისაგან ხალხში ცნობების მისაღებათ ჯგუფის წარმომადგენელმა უნდა აცნობოს კომისიას თავისი მისამართი იმ ქალაქში, სადაც კომისია იმყოფება. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ცნობები წარმომადგენლისადმი გადაცემულად ჩაითვლება, რაკი ეს ცნობები კომისიის სადგომში იქნება გამოკრული. ამას გარდა, ამომრჩეველთა ჯგუფმა, თუ მას სურს, რომ მისი წარმომადგენლები დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის შემდგარ სამაზრო, სამქალაქო და საუბნო კომისიების შემადგენლობაში იყვნენ შეტანილნი,—უნდა აღნიშნოს, თუ რომელ კომისიაში ვისი გაყვანა სურს.

46. თვითეულ ამომრჩეველს მხოლოდ ერთ საკანდიდატო სიაზე შეუძლია ხელის მოწერა. იმ შემთხვევაში, თუ მას რამდენჯერმე უწერია ხელი—მისი ხელის მოწერა ნამდვილად მხოლოდ საარჩევნო კომისიაში პირველათ მიღებულ სიაზე ჩაითვლება.

47. სიით წარდგენილ კანდიდატების რიცხვი შეიძლება დამფუძნებელ კრებისათვის ამა თუ იმ ოლქში ასარჩევ წევრთა რაოდენობას იგი ნახევარზე მეტით კი აღარ უნდა აღემატებოდეს.

48. ერთ და იმავე კანდიდატის წამოყენება შეიძლება რამდენიმე ოლქში, მხოლოდ არა 5-ზე მეტში.

49. ერთ და იმავე კანდიდატის ჩაწერა ერთსა და იმავე საარჩევნო ოლქის სხვადასხვა სიებში არ შეიძლება.

50. დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარი საოლქო კომისია საკანდიდატო სიის მიღებაზე ბარათს მისცემს. ბარათში აღინიშნება თვე, დღე და საათი სიის მიღებისა.

51. იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი საკანდიდატო სია არ აკმაყოფილებს 44 და 46—49 მუხლების მოთხოვნილებას დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის შემდგარი საოლქო კომისია ამას სამი დღის განმავლობაში აცნობებს ჯგუფის წარმომადგენელს. განცხადებანი ხსენებულ ნაკლულოვანების გამოსასწორებლად უნდა წარდგენილ იქმნას არჩევნების 24 დღით წინ.

52 იმ წარდგენილ საკანდიდატო სიებს, რომლებიც მე-44, 46—49 მუხლებში აღნიშნულ პირობებს მთლად აკმაყოფილებენ დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარი საოლქო კომისია მიღების კვალობაზე დანომრავს. ამ ნუმერაციით და აგრეთვე ორგანიზაციების სახელით, თუ კი აქვთ წარწერა, საკანდიდატო სიები გამოიკვრება კომისიის სადგომში არა უგვიანეს 23 დღისა არჩევნებამდის. და შემდეგ დაუყოვნებლივ ეცნობება დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარი სამაზრო, საქალაქო კომისიებს ქალაქის და სოფლის გამგეობათ და სოფლის საზოგადოებათა გამგეობათ და აგრეთვე საუბნო საარჩევნო კომისიებს. სიები საყოველთაოდაც იქნება გამოქვეყნებული.

53. საკანდიდატო სიების წარმომდგენელ ჯგუფებს, დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ კომისიაში სიების შესაერთებლად განცხადების წარდგენა შეუძლიანთ არა უგვიანეს ხუთმეტის დღისა არჩევნებამდის. განცხადებას ხელს უნდა აწერდნენ ყველა შეერთებულ ჯგუფების წარმომადგენელნი. სიების შეერთების კომისია საყოველთაოდ გამოაცხადებს სიების მიღების მეორე დღესვე.

54. ერთი და იმავე სიის სხვადასხვა სიებთან შეერთება არ შეიძლება.

ხელს აწერენ: მინისტრ თავმჯდომარე
ა. კერენსკი
იუსტიციის მინისტრი ი. ეფრემოვი.
1917 წ. მკათათვის 20.

რევოლიუცია პროვინციაში

ბახვი (გურია). ორშაბათს, 31 ივლისს, საღამოს, დანიშნული იყო მასიური კრება ამ უკმაყოფილების გამოსარკვევად, რომელიც დაიბადა ამ კუთხეში შესახებ კოოპერატივის გახსნისა. კრებას ხალხი ბლომათ დაესწრო. კრებამ თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩია სიმონ ჯორბენაძე, მდივნათ სევასტი დოლიძე. თავმჯდომარემ კრება გახსნა. გასარჩევი კითხვები იყო შემდეგი: 1. კოოპერატივის გახსნა და გამოკვლევა უკმაყოფილების, რომელიც დაიბადა თვით ამ სოფელში და 2. წყლის გამოყვანა. კოოპერატივის შესახებ უკმაყოფილება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ. სოფელ ბახვს და ოზურგეთს აქვს გახსნილი კოოპერატივი თვით ოზურგეთში. იმ კრებაზე, რომელიც მოხდა წინეთ კოოპერატივის შესახებ, ბახვრელებმა მოითხოვეს ამ კოოპერატივიდან გამოყოფა. მიზეზი იყო შემდეგში: ბახვრელები აძლევდნენ წინადადებას ოზურგეთლებს შეეთანხმებოდნენ, როგორც კოოპერატივის საკითხში, ისე სხვაში, როგორც არის სკოლა და სხვა, და თუ ისინი ვერ შეთანხმდებოდნენ ამ ნაწილში, მაშინ იძულებულნი იქნებოდნენ გამოყოფილიყვნენ და საკუთარი კოოპერატივი დაეარსებინათ. ამავე დროს ვიღაცა პირის ხელმძღვანელობით მოხდა გაყოფა თვით ბახვის მცხოვრებლებისა და ერთი ნაწილი მოითხოვდა ცალკე განყოფილების დაარსებას. ეს გაიგეს დანარჩენებმა და ბრალი ასეთ განხეთქილებაში დასდვეს პარტიის ერთს წევრს, რომლის წინააღმდეგ გაილაშქრეს სხვა პარტიის წევრებმა და ამბობდნენ: ან ჩვენ გავალთ პარტიიდან, ან ის გადავდევნოთ. თავმჯდომარემ შეაჩერა და ნათლად აუხსნა ხალხს მავნებლობა გათიშვისა. გამოითქვა სურვილი, რომ თუ ოზურგეთლები შეუთანხმდებიან ბახვრელებს სხვადასხვა საკითხებში, მაშინ ეს საერთო კოოპერატივი დარჩება და სხვაგან დამოუკიდებელ განყოფილებებით. ილაპარაკეს სხვებმაც. მოსალაპარაკებლად ამ საქმის შესახებ ოზურგეთლებთან კრებამ აირჩია: გიორგი ლომინაძე, სიმონ ჯორბენაძე და ვლადიმერ ჩხარტიშვილი.

შემდეგ ამისა ილაპარაკეს იმ წყლის შესახებ, რომელიც სოფელმა გამოიყვანა. როგორც გამოირკვა, ერმალო შარაძე დიდს შრომას ეწევა ამ საქმეში და დამხმარე ნაკლები ჰყავს. ამიტომ კრებამ დაადგინა მისცეს მას დამხმარე პირი.

სიმონ ჯორბენაძე.

გუდაუთი. 12 ივნისს, ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის დადგენილებით, ყოფილ დაბა გუდაუთს მიენიჭა საქალაქო თვითმართველობის არჩევნების უფლება. ეს ძრიელ სასიხარულო ამბავი მიიღო ადგილობრივ კომიტეტმა 14 ივნისს, რაზედაც ქონია რა მსჯელობა დაადგინა მოხდეს არჩევნები 2 ივლისს. კომიტეტის ხელმძღვანელობით შესდგა ქალაქის საარჩევნო სიები. კომიტეტში ძველი მამები იყვნენ და სიებიც მათ გემოვნებაზე შესდგა. აქ ადგილობრივ რ. ს.-დ. მ. პარტიის კომიტეტმა პროტესტი განაცხადა არჩევნების ამ გვარათ მოწყობაზე და მოითხოვა არჩევნების გადადება 16 ივლისისათვის. აქ უკანასკნელი ზომი დაანთხია ძველ ბიუროკრატიის წარმომადგენლებმა და რა არ დასწამა გადადების ინიციატორთ, ვინ იცის. მაგრამ სიმართლემ თავისი არ დამალა და არჩევნები გადაიდვა 16 ივლისამდე. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ახალ არჩევნების ინიციატორებმა შესძლეს, თუ საკმაოდ არა, სიის რამოდენიმეთ შევსება, კრებების და მიტინგების საშვალებით ხალხს ოდნავ გაითვითცნობიერება არჩევნებში და სხვა.

ამ პატარა ქალაქმა კლასობრივ ბრძოლის უნარი გამოიჩინა. მიუხედავად იმისა, რომ აქ საარჩევნო ხმა 1350 არ აღემატებოდა და არც პოლიტიკური პარტიის გარდა არავითარი წრე არ არსებობდა და არც არსებობს, შესდგა რვა კანდიდატთა სია: ერთი ქალაქის მცხოვრებლებისა, სათავადო, ერთი უპარტიო და არა პარტიული, ერთი ქალების წრის და ერთი კი პოლიტიკურ პარტიების ს. დ. და ს.-რ. პირველს უკანასკნელის ნომერი იყო ორი (2) და მეორესი კი ხუთი (5). ადგილობრივი შოვინისტები და ქალაქის სათვითმართველოში ცნობილი მოგაჭრეები არავითარ საშვალებას არ ერიდებოდნენ. მათ მიზანში ამოიღეს მეორე ნომერი (ს.-დ.). დაიბეჭდეს თითზე დასახიჩრებულად პეტროგრადის 3—4—5 ივლ. ამბები. გაავრცელეს ხმა, ვითომ პოლიტიკურ პარტიებს რუსეთის დაქცევის კარებამდე მიეყვანოს და პეტროგრადის ამბები ვითომც ს. დ. პარტიის ნაყოფი იყოს. შეებნენ კერძოდ ჩვენს სიას და ხალხს ეუბნებოდნენ, ესენი დასაჭერი ხალხია, მაგრამ დემაგოგების მიერ გავრცელებული ხმა დემაგოგობადვე დარჩა.

15 ივლისის მიტინგზე, რომელზედაც ადგილობრივ დემოკრატიის მეთაურებმა ჩვენი ს სოციალისტ დეპუტატის აკაკი ივანესაძის სიტყვა მოისმინა, ყოველგვარს პასუხი გასცა. 16 ივლისს შესდგა არჩევნები რომელმაც შემდეგი ნაყოფი მოგვცა: ს. დ. პარტიის სიიდან გავიდა შვიდი ხმოსანი, ს.-რ. კი ხუთი ხმოსანი, დანარჩენ სიიდან კი რვა ხმოსანი. ხმოსნებად შემდეგი პირები: ს. დ. (მუშმცირებლების ყველა) პავლე ა. კობალია, ი. გ. მგალობლიშვილი, ა. ა. გუგუბერია, ა. ი. ჩიკვაიძე, ა. ლ. მეფარიშვილი, მ. დ. აჭბა და ი. გ. იაკობიძე. ს. რ.: გ. პ. ხახილი, ვ. გ. ... ი. ს. ... ი. ი. ... და ა. ს. მაცაჩი. უპარტიო: ა. დ. ოლეინიკოვ, მღვ. წ. გ. ლადარია, ს. ა. ბეკიოვი, ნ. გ. შერმაზანოვი, დ. კ. ლიუბარსკი, ი. კ. კარტოზია, ი. დ. ხიბლაძე მ. ო. ტურსკი.

ხიჩხა.

ჯულფა. დღეს, 2 აგვისტოს, მოხდა არჩევნები ჯულფის აღმასრულებელი კომიტეტისა. არჩევნებს ხელმძღვანელობდა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის რწმუნებული ნახიჩევანის მაზრისა, ამხ. ალ. კოლიევი (სოც. რევ.). მონაწილეობას იღებდენ შემდეგი პარტიული ორგანიზაციები: სოც. დემოკრატები, სოც. რევოლიუც., დაშნაკელები და თურქ ფედერალისტები. ამ უკანასკნელთა პარტია ჯულფაში დაიბადა არჩევნების წინა დღით, რომელიც არ განსხვავდება ცნობილ დაშნაკელების პარტიისაგან. სოც. დემ. უმცირესობამ და სოც. რევ. შეკრეს კავშირი და ერთი საარჩევნო სია წარმოადგინეს. ამის მიზეზი არის შემდეგი: რადგანაც ადგილობრივ მცხოვრებნი სომხები და თათრები მთლად ნაციონალურ პარტიებს ეკუთვნიან და თვით სოციალისტურ ორგანიზაციებს წევრთა და თანამოაზრეთა რიცხვი უმნიშვნელოა, ამიტომ მთელი ყურადღება იყო მიქცეული აქ დაბანაკებულ ჯარის ნაწილებზე, რომლების წარმომადგენლებმა განაცხადეს სურვილი, რომ ჯარი არ დაეყოთ პარტიულათ, შეეკრათ ბლოკი. ამ საარჩევნო კამპანიას არ მიემხრო უმრავლესობის სოც. დემ. ორგანიზაცია და დამოუკიდებლათ, საკუთარი სიით გამოვიდა. ასევე მოიქცნენ დაშნაკელები და თურქ ფედერალისტები. არჩეულ იქნენ 18 წევრი, დაშნაკელებმა გაიყვანეს 6, სოც. დემოკრატებმა და სოც. რევ. 4, თურქ-ფედერალისტებმა 5 და ბოლშევიკებმა 3. არჩევნების მეორე დღეს მოხდა პირველი კრება ახალ აღმასრულებელ კომიტეტისა. ფარული კენჭის ყრით თავმჯდომარეთ აირჩიეს ნაცვლიევი (თათარი, ბუღალტერი ს.-რ.), თავმჯდომარის ამხანაგათ ატამალოვი (სომეხი, დაშნაკელი ბანკის მოხელე). დროებითი კომისართ დეიშვილ აზრამოვი (სომეხი—დაშნაკელი ვაჭარი), დანარჩენი ადგილები ჯერ არ არის განაწილებული. როგორც მოგახსენეთ თურქ-ფედერალისტები გაჩნდნენ არჩევნების წინა დღით. აქნობამდის ამ პარტიის სახსენებელიც არ იყო. რაგვარ სოციალისტურ ნიადაგზე დგას, რა პლატფორმას აწარმოებს და რაგვარ პროგრამით ეწევა აგიტაციას, ეს ჯერ ცნობილი პარტია ჯერ ჯერობით გამოქვეყნებული არ არის. მხოლოდ ცხადი კი არის, რომ ამ პარტიის ჯულფის ორგანიზაციას სათავეში უდგანან არა სოციალური პირნი, რომელნიც უფრო რეაქციონერები არიან, ვიდრე სოციალისტები. ასევე ითქმის დაშნაკელებზე. ეს ორი მოპირდაპირე ნაციონალური ორგანიზაციები გაჩაღებულ აგიტაციას ეწეოდნენ მშრომელ ხალხში და რა თქმა უნდა რომ სასურველი ნაყოფიც მიიღეს. რაც შეეხება სოც. დემოკრატების ორგანიზაციებს, უნდა სიმართლე ითქვას, რომ არავითარი საარჩევნო სამზადისი, არც აგიტაცია და პროპაგანდა, მიტინგები და სხვა მათ არ უწარმოებიათ. ამ გარემოებას შედეგათ მოჰყვა ის, რომ მშრომელ ხალხის უმრავლესობამ, (განსაკუთრებით თათრებში) არ იცოდა, თუ თავისი ხმა რომელ პარტიისათვის უნდა მიეცა. ამგვარ პირობებში მოხდა არჩევნები. **თინკა.**

ლიხაური. კვირას, 29 ივლისს შესდგა კოლექტივის კრება ვ. კალანდარიშვილის თავმჯდომარეობით და ი. გორგოშიძის მდივნობით. გაირჩა შემდეგი კითხვები: 1) მომენტი და ტაქტიკა; 2) პოლიტიკური ტუსაღების შესახებ; 3) მოხსენება საგუბერნიო სიეზდის აღმასრულებელი კომიტეტებისა; 4) ხელმძღვანელი მარქსისტული ჯგუფის მოწყობა; 5) სკოლის საქმე; 6) ალდგრის ანგარიში; 7) გადაჭარბებული ღვინის სმა „კოოპერატივში"; 8) დამფუძნებელი კრების გარშემო; 9) ამხ. ივ. ლაქვაძის დაკრძალვა; 10) მკითხველთა ჯგუფის მოწყობა სოფლის ერთეულებში. პირველათ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. კალანდარიშვილმა, რომლის გამოყოლებით იქნა საკითხი დეზერტირების შესახებ. კოლექტივმა კამათის შემდეგ დაადგინა: წინადადება მიეცეს ყველა დეზერტირებს წავიდნენ თავ-თავიანთ ადგილებზე, ამასთანავე კ—მა სურვილი გამოსთქვა თუმც საჭირო იქნება და მოგვიწოდეს, მზათ უნდა ვიყოთ ყველანი წავიდეთ ბრძოლის ველზე თავისუფლების დასაცავათ. პოლიტიკური ტუსაღების შესახებ დაადგინა: ყველა პოლიტიკურათ არა საიმედო პირები დაჭერილ იქნეს გასამართლებამდე. საგუბერნიო სიეზდის აღმასრულებელი კომიტეტების მოხსენებიდან კ—მა გამოჰყო სასურსათო საკითხი და დაადგინა: მხარი დაუჭიროს სიეზდის დადგენილებას და განუმარტოს საზოგადოებას მისი მნიშვნელობა, შემდეგ აირჩიეს განსაკუთრებული სასურსათო კომისია. ხელმძღვანელი მარქსისტული წრის მოწყობის შესახებ; დაადგინა: მოწყობილ იქნეს ასეთი, და სიაც იქვე შედგენილი დასახელებით 40 დი ქალის და კაცის. სკოლის შესახებ კ—მა აირჩია კომისია და დაავალა მომავალ კოლ—ს კრებაზე გააკეთოს ვრცელი მოხსენება, თუ რა საფუძველზე უნდა მოეწყოს მომავალი სწავლის საქმე. აგრეთვე დაავალა წარმომადგენელს გადაიტანოს ცენტრალურ კომიტეტში გასარჩევათ ის, თუ რა დამოკიდებულება ექნება მღვდელს მომავალ სკოლასთან. ალდგრის ანგარიშის შესახებ კოლექტივმა დაადგინა: გაეცნოს საზოგადოებას დაწვრილებითი ანგარიში და მიუხედავად იმისა რომ ალდგრა გაიმართა დამფუძნებელი კრების და სახალხო სახლის ასაგები ფონდის გასაძლიერებლათ, მიეცეს საზოგადოებას უფლება, მათი გადებული წილი როგორც საჭიროთ სცნობენ ისე განაწილონ. გადაჭარბებული ღვინის სმის შესახებ „კოოპერატივში" კ—მა დაადგინა: მიეცეს წინადადება „კოოპერატივის" გამგეობას, მიიღოს შესაფერი ზომები ამის წინააღმდეგ. დამფუძნებელი კრების შესახებ დაადგინა: ეცნობოს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს შეკრიბოს შედარებითი ცნობები ლიხაურის საზოგადოებაში მცხოვრებთა რაოდენობისა, აგრეთვე იქნეს ერთ საარჩევნო უბნათ ლიხაური და მაკვანეთი და და წარადგინოს, სადაც ჯერ არს.

მუშა ბარიკადა.

პროვინციის ცხოვრება.

გორი. საქალაქო არჩევნებისათვის გორმა ერთი კვირით ადრე იწყო მზადება. მთელი კვირის განმავლობაში გორს დიდი მზადება და მოძრაობა ეტყობა: ყველა არჩევნებისათვის ემზადება, ყველგან არჩევნებზეა კამათი, ყველგან პლაკატებსა და მოწოდებებს აკრავენ, მთელი ქუჩები, კედლები, მაღაზიები, სახლები და, წარმოიდგინეთ, ეკლესიის კედლებიც კი რეკლამებით არის აჭრელებული; მთელს ქალაქში სიცოცხლე სდუღს; ყველა პარტია თავის ძალებს მობილიზაციას ახდენს და ხალხს თავის მხარესაკენ მოუწოდებს. ხელა დაპირებებს არ იტყვით? კითხულობთ და გიხარიათ, როდესაც კედლებზე წარწერებით აი ასეთ ტკბილეულობას ჰპირდებიან: „დემოკრატიის, ღარიბების საჭიროების დაკმაყოფილება; განათება, გაუმჯობესებული და გაფართოვებული წყალსადენი და კანალიზაცია, განაპირა უბნებში სუფთა და მოკირწყლული ქუჩები; სავაჭრო-მყოფიები, უფასო წამლობა და აფთიაქები; საქალაქო ფურნეები, ხორცის მაღაზიები, ფერმები; ღარიბებისათვის ჰიგიენური ბინები. თავშესაფარები, ბინის საკითხის მოწესრიგებე; უფასო სწავლა განათლება; სახალხო სახლები, თეატრები და სამკითხველოები; შემოსავლის კვალობაზე პროგრესიული გადასახადები" და ბევრი სხვა ნიშათები, დაპირებანი და დაპირებანი. ყველა პარტია იმის ცდაშია, შენი ყურადღება თავისაკენ მიიპყროს; ყველა თავისას გიწვრება—მოდი ჩემთან, მე გაგაბედნიერებო. მოქალაქე გაფაციცებით კითხულობს სანუკვარ დაპირებებს და აღარ იცის ვის დაუჯეროს, ვინაა მართალი.

არჩევნებში მონაწილეობას იღებს ექვსი პარტია: № 1 სოც.-დემოკრატები, № 2 ნაც.-დემოკრატები, № 3 სოც.-რევოლიუციონერები, № 4 დაშნაკელები, № 5 სოც.-ფედერალისტები და № 6 კადეტები.

არჩევნების ნამდვილი მუშაობა პირველ აგვისტოდან იწყება. ყველაზე მეტ ფუფუში მოწინააღმდეგე პარტიები არიან. ყველა ცდილობს—რამენაირათ სოციალ-დემოკრატები დაამარცხონ და რათაც არ უნდა დაუჯდეთ თავიანთი კანდიდატები გაიყვანონ. სოციალ-დემოკრატიული პარტია-კი, რომელიც თავის ზურგს უკან მშრომელი ხალხის ძლიერ არმიას გრძნობს, ჩვეულებრივ სამზადისშია და სამოქალაქოთ მხოლოდ 12 აგვისტოდან გამოდის. ამ დღეს ხაშურელი ამხანაგებიც ჩამოდიან თავის მუსიკით და ქალაქი ახლა ხომ პირდაპირ საზეიმო ფერს ღებულობს. ქალაქს ქუჩებში ძლიერი მარსელიოზის ხმა გაისმის; მუშათა პარტია დიდებულ დემონსტრაციებს ახდენს მთელ ქალაქში. ამხ. ორატორები: კეცხოველი, კობერიძე, ქარცივაძე, რუხაძე, გარეჯიშინცი, ჯავახიშვილი, ცაცაშვილი, ბიბილური, კალანდარიშვილი, მარიამიძე, სხირტლაძე, მუშები, ჯარისკაცები და სხვ. მოქალაქეებს საარჩევნო უბნებისაკენ მოუწოდებენ, უხსნიან მათ არჩევნების მნიშვნელობას და დემოკრატიის ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. დემონსტრაციას ახდენენ სხვა პარტიებიც, მაგრამ მათი ქუჩაში გამოსვლა იმდენათ მკრთალია, იმდენათ გაუბედავი, რომ მოქალაქეთა ყურადღებას მაინც და მაინც ვერ იპყრობს. დემონსტრაციები გრძელდება საღამოს 9 საათამდე. დაქანცული მოქალაქენი მწყობრათ იშლებიან, რომ მეორე დღეს უფრო მხნეთ გამოვიდნენ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ.

ქალაქის ახალი ხმოსნების არჩევნები ხდება კვირას 13 აგვისტოს. ქალაქი ხუთ საარჩევნო უბნათ არის დაყოფილი. დილის 9 საათიდან ჩვენი ამხანაგები მუსიკით და დროშებით გამოდიან ქუჩებში სადემონსტრაციოთ. მოქალაქენი თავ-თავიანთ საარჩევნო უბნებში იყრიან თავს. იწყება ნამდვილი ბრძოლა. თავის მოვალეობის მოსახდელათ მისულ მოქალაქეებს საშვალება ერთმევათ თავისუფლათ ხმამიცემისა, რადგან ზოგიერთს არა მკითხე პირები ათას გვარ ყალთაბანდობას და ხრიკებს ხმარობენ, რომ რამე ნაირათ საარჩევნო ყუთები გამოუცვალონ და თავის პარტიის სია მიაჩეჩონ. ამომრჩევლები თავდაჭერით იქცევიან. ჩვენი ამხანაგები დაუღალავათ დარბიან საარჩევნო ადგილებთან, უხსნიან ამომრჩევლებს არჩევნების სისტემას, იცავენ წესრიგებს და თვალყურს ადევნებენ მოწინააღმდეგეთა ყალთაბანდობას. ქუჩებში—საარჩევნო ადგილების წინ ცხარე კამათია მთელი დღის განმავლობაში. დილიდანვე ეტყობა, რომ მოქალაქეთა უმრავლესობის სიმპატია სოც.-დემოკრატებისაკენ არის. განაპირა უბნების მცხოვრებთ—დემოკრატიას მტკიცეთ უჭირავ № 1 და მოუხელთავთ ათასგვარ ხრიკებისა და დაპირებებისა, ამ ნომერს არავის არ აძლევს. აქა იქ ისმის მუქარა, ლანძღვა. აქებენ ძველ ხმოსნებსაც. ყველაზე მეტათ აქებენ № 1 სიაში აღნუსხულ კანდიდატებს და ყველა პარტიათა წარმომადგენლების მთელი ყურადღებაც ხომ აქეთკენ არის მიპყრობილი, რომ სოც. დემოკრატები დაამცირონ ამომრჩევლების თვალში, სოც.-დემოკრატებს გაუტეხონ სახელი და მიზნის მისაღწევათ, ვინ იცის რასა და რას არ ჩმახნიან გორელი მოქალაქე კი მოთმენით ისმენს წარმოსახვით ნობათებს და ფიქრობს: „თქვენ რამდენიც გინდათ იმდენი რაშეთ, მე ჩემსას მაინც შევასრულებო". და მართლაც, თუ დააკვირდებოდით გორის ამომრჩევლების ფსიხოლოგიას და მიდრეკილებას, მართლაც არავითარი ნაყოფი არ მოჰქონდა მოწინააღმდეგე მხარეებიდან წამოსროლილ რაშის და ამომრჩევლებიც ისე იქცეოდნენ, როგორც ეს შეეფერებოდა მომწიფებულ მოქალაქეს.

ნაშუადღევის 6 საათზე ყველა უბნებში დასრულდა არჩევნები.

ვის ხვდა წილათ გორის არჩევნებში გამარჯვება? იმას, ვისაც ხალხი უფრო ენდობა და ვინც ყოველთვის ხალხთან იყო. გორის მრავალტანჯულმა დემოკრატიამ აჩვენა გორის პლუტოკრატიას, დაასამარა მისი ბატონობა, მიწა მიაყარა უსამართლობას და წითელი დროშით ხელში ბრწყინვალე გამარჯვება სოც.-დემოკრატიას მიანიჭა. 33 ხმოსანში სოც.-დემოკრატებმა გაიყვანეს 15 ხმ., დაშნაკელებმა 6, ესერებმა 5, ფედერალისტებმა 3, ნაციონალ-დემოკრატებმა 3 და კადეტებმა 1.

ნიკო გურული.

წერილები რედაქციის მიმართ.

გაზ. „სახალხო საქმის" № 15 ვიღაც ბ. რუფუთელის მიერ ხელმოწერილი წერილი არის მოთავსებული. ბ-ნი ავტორი პირველად ეხება სოციალ-დემოკრატის ა. ხანაშვილის ლაპარაკს და თავისი უძლური კალმით ვითომც და ყოველივე მის მიერ ნათქვამს აბათილებს, მიკიბულ-მოკიბულად სთვლის და კრიტიკას ქარცეცხლში ატარებს, მაგრამ რა ეყუდა ენას ხომ ძვალი არა აქვს და ყველაფერს იტყვის? ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. ავტორი ამბობს: პირველი ორატორის შემდეგ ილაპარაკა სოც.-ფედერალისტმა ან. იმნაძემ, რომელმაც, როგორც მოგვითხრობს ბ-ნი რუფუთელი, ვითომდა მან გარკვევით ახსნა ყველა პარტიების პროგრამები და სრულიად გაბათილა სოციალ-დემოკრატების ყველა მოსაზრებანი. დასასრულ ეხება მიშა აბესაძის ს.-დ. იმნაძისადმი გაცემულ პასუხს და ასეთი უმსგავსო სიტყვებით ნათლავს: მისი ლაპარაკი ძლიერ აღელვებული, გულმოსული და უსაფუძვლო გამოდგათ. მეკითხება: საიდან მოიტანა ასეთი აღელვება და გულმოსულობა ბ. რუფუთელმა? შეიძლება მას ხმამაღლა ლაპარაკი გულმოსულობა და აღელვება ეგონოს, მაგრამ ეს ხომ თვით რუფუთელის ნაკლია? ახლა ვნახოთ: რაშია ჩემი სიცრუე და უსაფუძვლობა? იმაში ხომ არა ბ-ნო რუფუთელო, რომ მე თქვენი სოციალისტ-ფედერალისტების მიერ ნათქვამი სოფლის ხალხს გაუშუქე, და თვით ხალხმა თქვენი პარტია გაჰკიცხა? თქვენ პირდაპირ იფარებდით პირს და ისე ეცდებოდით გაქცევას. რათ დასჭირდა თქვენს წარმომადგენელს სოციალ-დემოკრატების აგრარულ პროგრამის მითვისება. ნუ თუ მიწის საკუთრების, სახაზინო, სამონასტრო და მემამულების მიწების ჩამორთმევა მიწის სოციალიზაცია? თუ კი ხელით ძლიერი პრინციპებიდან, თქვენი ფედერალისტული ავტონომია რაღა არ დააკმაყოფილებს გლეხებს, რომ სოციალ-დემოკრატების—ნოე ჟორდანიას ავტონომიას (თვითმართველობას) ჩაჰკიდეთ ხელი? ბოლოს სახრულით დასძენ: ხალხში ჩვენ გავიმარჯვეთო. გისურვებთ ყოველთვის ისეთ გამარჯვებას, როგორც 23 ივლისს გაიმარჯვეთ თქვენ ჩვენს სახალხო მიტინგზე.

მიშა აბესაძე.

მადლობას უცხადებენ ლიუბა და მარიამ პეტრეს ასულთ სანაძეებს, ეკატერინე პეტრეს ასულს ვარდოსანიძისას, ბაბუცა, გოგი, თამარა, თინა და ლევან ვარდოსანიძეებს, რომელთაც თავის გარდაცვლილის პირველთა დის და მეორესი დედის ანნა პეტრეს ასულ სანაძის სახსოვრად შემოწირეს ხონის ქალთა საზოგადოებას ხუთი თუმანი.

გამგეობა.

ცნობები

ჯარის-კაცთა შესახებ.

ჯარისკაცი ილარიონ მაქსიმეს ძე ხურცილავა მსახურებდა კავკასიის მომქმედ ჯარში, მე 222 სტავროპოლის ქვეითი პოლკში, მე-11 როტაში, 1 ვზვოდში. ვინც იცით გვაცნობეთ: დ. ნაქალაქევი, მომხმარებელი საზოგადოება „სინათლე".

მღვდელი კონსტანტინე ჯანჯღავა.

ჩვენი ფოსტა.

ხილოვან მიქავას. მიმართეთ ადგილობრივ ორგანიზაციას.

ს. ჩანჩეთი. ან. ქუონიას. შეეკითხეთ თვით ს. ტუღუშს. ალბათ შეცდომით გამორჩათ.

ტფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ხალხის სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: (ავლაბარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9—2 ს., საღ. 5—9 საათ. ტელეფონი № 5—98.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

ტფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინის პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა სახლის ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში). კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

ექიმი კ. ი. ვეარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი
ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
[illegible] ქუჩა, № 4, [illegible]. ტელეფ. 15—00.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, 1—2 და საღ. 5—6 ნახ. ს-დის. გუნიბის ქ. № 41.

ქ. ქუთაისი.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., მაჭრაძის სახლი.

ექიმი ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფები მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათამდე

ექიმის თანაშემწე
მლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასაჟი და ელექტრიზაცია. ტერენტიური ქუჩა, №

ექიმი მ. გ. ვეშაპაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზუმნის ქუჩა, № 19.

ქუთაისში
ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე
იღებს შინაგან, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი. ბუქიონის ქუჩა, ციტუშნისკი სახლში.

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ

БОРЬБА

Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россiйской Соц.-демократической Рабочей Партiи.

Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба" (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Таварткиладзе.

Корреспонденцiи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскiй пр. № 12 для редакцiи «Борьба".

Подписная цѣна до конца года 9 р., 3 м. 5 р. 50 к., 1 мѣс. 2 р.

სწრაფად-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა გაზეთის შესახვევი № 1.